

რვაენი

ფრთვა

832
1957

NOTRE DRAPEAU "

დაარსებულია ნოე შოკლაძის მიერ.

№ 25

Directeur: MICHEL STOUROUA.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მორიგი კრიზისი. პ. სარჯველაძე—რუსეთის ექსპანსია.
ა. ტატიშვილი—ავვისტო. გრ. ურატაძე—რა ხდება პოლო-
ნეთში. გ. ვრამე—სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა. გ. უ.—ჩეკის-
ტების საქმიანობა. დამსწრე—წერილი არგენტინიდან.
პ. კლშაია—სოციალისტური ინტერნაციონალის კონგ-
რესი. კერძო წერილიდან. დათიკო ხელაძე. X.—26 მაისი
პარიზში. დამსწრე—26 მაისი სომოში. მიუნხენი. «ვისრა-
შიანი» გერმანულ ენაზე. და სხ. და სხ.

პარიზი

სექტემბერი

Paris.

1957

მორიგი კრიზისი.

საბჭოთა კომუნისტურ პარტიაში თავი იჩინა მორიგმა კრიზისმა. გააძევეს პარტიის ხელმძღვანელობიდან მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი და შეპილოვი.

კრიზისები საბჭოთა კომუნისტურ პარტიაში არ ახალია, ძველია. დღევანდელი კრიზისიც მხოლოდ ერთი რგოლია კრიზისთა იმ ჯაჭვისა, რომელიც ორმოცი წელია გრძელდება. მიზეზი ამ კრიზისებისა მრავალნაირია, მაგრამ ყველაზე უმთავრესი მანც ერთია. ესაა ოქტომბერი. ოქტომბრის ცოდვებია, რომ კომუნისტურ პარტიას ორმოცი წელია სტანჯავს და მოხვეწებას არ აძლევს. და ამ «ცოდვებისაგან» თავის დახწევა არც პიროვნულს და არც კოლექტიურს დიქტატურას არ ძალუძს.

30269
ორმოცი წელია მას შემდეგ, რაც ოქტომბრის გადატრიალებამ უზარმაზარი იმპერიის მთელი პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ხელმძღვანელობა კომ. პარტიას და მის მიერ შექმნილ სახელმწიფო აპარატს ჩააბარა. და ეს აპარატია, რომ დღემდე განაგებს მას ისე, როგორც მოეპრიანება. ოქტომბრის გადატრიალების უდიდესი ცოდვა სწორედ ეს იყო და ამას მოჰყვა ყველა ის საბედისწერო შედეგები, რომელიც საბჭოთა ხალხებს თავს დაატყდა. ეკონომიური ცხოვრების აბუჩათ აგდებას, სწორეთ ასეთი შედეგები უნდა მოჰყოლოდა. მარქსი გვასწავლიდა, რომ ეკონომიური სტრუქტურა არის ის საფუძველი, რომელზედაც შენდება მისი პოლიტიკური იდეალი. ოქტომბრის გადატრიალებით კი მოხდა სრულიად წინააღმდეგი. იქ პოლიტიკური ეკონომია პოლიტიკური ბრძოლის იარაღთ გადაიქცა. ეკონომიური ცხოვრების პრობლემები წყდებოდა არა არსებულ ეკონომიურ მდგომარეობასთან შეფარდებით, არამედ პოლიტიკური დირექტივების მიხედვით. და სწორეთ, ეკონომიკის პოლიტიკისათვის ასეთი ბრმა დამორჩილებაა, რომ იწვევს იმ კრიზისებს, რომელიც თავს იჩენს ხოლმე დრო და დრო საბჭოთა დიქტატურაში.

ისე, როგორც ყველა დესპოტიაში ძველათ, საბჭოთა დესპოტიაში ყველა ახალი დიქტატორი ბატონდება მოქიშპეთა ყოველგვარი საშვალეებით თავიდან მოშორებით. ასე მოხდა ლენინის სიკვდილის შემდეგ. ასე ხდება სტალინის სიკვდილის შემდეგაც. განსხვავება მხოლოდ გარემოცულო-

ბაშია, თორემ არსებითად ერთი და იგივეა. ხრუშჩოვმა პირ-წმინდათ გაიმეორა სტალინი. ახლაც, როგორც მაშინ, გუშინდელი მეთაურები გამოცხადებული არიან უცხოეთის ჯაშუშებათ და ხალხის მტრებათ. გუშინ «იდეების» მწვერვალზე მდგომნი—დღეს ყოველგვარ სიბინძურის მორევში იძირებიან. გუშინ «მთელი ქვეყნის პროლეტარიატის» ქურუშებათ აღიარებულთ—დღეს 60.000 აგიტატორი სამარცხვინო ბოძზე აკრავს, როგორც მოლაღატეთ და გამყიდველთ. არც ერთი იმათგანი, რასაკვირველია, არაა უკეთესი ბედის ღირსი. მათათაგან მეტი დაიმსახურეს, ვინემ მიიღეს. მათ სინდისზე აუარებელი უდანაშაულოთ დაღვრილი სისხლია. არ არის დანაშაული, რომელიც ამ «შაიკას» არ ჩაედინოს! მაგრამ, როცა მათ ხრუშჩოვი ასამართლებს—ეს კი ცინიზმის ყოველგვარ საზღვარს სცილდება.

ხრუშჩოვმა შესძლო მოქიშპეთა თავიდან მოცილება. ამით ის სწრაფი ნაბიჯით წავიდა პიროვნული დიქტატორისაკენ. და ამ კიბუზე უკვე ძალიან მალა ავიდა. მან, უეჭველათ, დიდი ოსტატობით ჩაატარა თავის სახელმწიფო გადატრიალება. მაგრამ ამ «გადატრიალებით» შეიცვალა კი ის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, რომელიც ასე მწვავეთ გამოსჭვივის დღეს საბჭოთა კავშირის ცხოვრების ყველა სფეროში? სრულიადაც არა. ყველა წინააღმდეგობანი რჩება ხელშეუხლებელი. ამიტომ, ცდა პირების შეცვლით კრიზისების აცილების—ეს არის წყალზე ფეხით გაჩერება. საბჭოთა კავშირში დამყარებული ურთიერთობა მოითხოვს რადიკალურ ცვლილებას, რომელმაც ძირიანად უნდა გარდაქმნას მთელი ცხოვრება. ეჭვი არაა, დღეს თუ არა ხვალ ცხოვრების გარდაუვალი კანონები თავის გამოსავალს იპოვის და ამათუ იმ სახით კომუნისტურ ველურ წყობილებას საბოლოოთ უფსკრულში გადაუშვებს.

ისტორიის მსვლელობა ჯერ არავის შეუჩერებია...

რუსეთის მძხვანსია.

კრემლისგან დაწყებული ბრძოლა მსოფლიოში თავის ბატონობის გასავრცელებლად არ შეწყვეტილა. ხშირად იგი ნელდება, ფორმის იცვლის, ხოლო ხშირად უფრო თვალჩინულია, მუქარის ხასიათს ღებულობს და პოლიტიკურ ასპარეზზე ამოტივტივდება. მისი აქტიურობა დამოკიდებულია ორ გარემოებაზე,—ერთია შინაური ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის უმწეობა, მეორე როცა მოსკოვის სამშვიდობო ნოტებზე თავისუფალი ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი მიძინებულია და მოდუნებული.

ახლო აღმოსავლეთში მოსკოვის დღევანდელი შემოტევა მსოფლიოზე გაბატონების ერთი რგოლია. მას მიზნათ აქვს დასახული ატლანტიკის კავშირის დასუსტება, ირაკის ნავთის მილზე თავის კონტროლის დაწესება, სირიაში ფეხის მოკიდებით პოლიტიკური და სტრატეგიული ბაზის შექმნა ახლო-აღმოსავლეთში გზის გასაკაფად...

ათეულ წლების მანძილზე პოზიციების დაკარგვამ დასავლეთიც თითქმის გამოაფხიზლა. კორეაში წარმოებული შეტევითი პოლიტიკა აქაც იქნა გამოტანილი ე.წ. აიზენჰაუერის დოქტრინის სახით, რომლის დანიშნულებაც, მოსკოვის კომუნიზისტების გზის გადაჭრა, მისი შემოტევის უკუგდება და არსებულ პოლიტიკურ ვითარების სტაბილიზაცია.

ამ გარემოებამ უსათუოდ დააჩქარა დიდი ხნიდან დაწყებული გეგმის განხორციელება, როცა დასავლეთის ქვეყნებში ბუობდენ, ურთიერთ შორის ქიშპობდენ, მოსკოვი დივერსიებს აწყობდა და დამთავრდა კიდევ სირიაში ფეხის მოკიდებით. გიგანტურ ძალთა შებმამ მიიღო მწვავე ხასიათი და ძველად ნათქვამი,—ნავთს ომის სუნი უდისო—თითქოს რეალურად ხდებოდა, კაცობრიობის თავზე ომის საშინელება კიდევ ახლდება.

ჩვენის აზრით მოსკოვის იმპერიალისტური და დემაგოგიური გეგმათა ჩაშლა დამოკიდებულია ადგილობრივ ერთა სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრების სწორ გაგებანზე და მიდგომანზე. არაბთა ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრების მიმდინარე მოძრაობას სარჩულად უდევს ეკონომიური სისტემის მოდერნიულად მოწყობა, ინდუსტრიალიზაციის გატარება და არსებულ ნახევრად ფეოდალურ საშობდან გამოსვლა.

მეორეს მხრივ ნაციონალური სიმდიდრე—ნავთი უცხო კაპიტალის ხელშია, რომლის ეგოისტურ ბუნებამ ჩვენს თვალწინ გაიარა და დაარღვიეს დასავლეთ ქვეყნების მთლიანი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის მიმართ; ამით ისარგებლა მოსკოვმა, გააძლიერა თავისი დაწოლა და აიღო სასარგებლო პოზიციები...

მოსკოვი მუდამ ბოროტათ სარგებლობდა თავისუფალი ქვეყნების მშვიდობიანობის დამყარების სურვილით...

დადგაკი დრო თუ კაცობრიობას არ სურს მოსკოვის ატილამ გადაჯეკნოს მისი სხეული და ბარბაროსულ მდგომარეობაში არ ჩააყენოს მისი პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება, უნდა აიღოს მაგარი პოლიტიკური ხაზი და მტკიცე პოზიცია, მოსკოვის შემოტევითი გეგმების ჩასაშლელად..

კერძოთ, ახლო აღმოსავლეთ ხალხთა დემოკრატიულ რეღსებზე გადაყვანა, სოციალურ-პოლიტიკურ რეფორმათა გატარების მიზნით უპირობო და უანგარო დახმარება, ფეოდალურ ჩარჩოებიდან გამოსვლა—ერთის მხრივ, გაათქვებულნი პროპაგანდა რომ მოსკოვის გავლენის გაბატონებით და

შემოსვლით—არაბთა ქვეყნებში დაჰკარგავენ ეროვნულ თავისუფლებას—მეორეს მხრივ და ამ სამოქმედო ხაზზე დასავლეთის ერთს მთლიან პოლიტიკას კიდევ შეუძლია შეაჩეროს მოსკოვის წინსვლა ამ მხარეში...

ევროპას არასოდეს ესმოდა რუსეთი. არ ცდილა ის გაეგო და შეესწავლა მისი შინაური ცხოვრების დუღილი, მისი საგარეო ზრახვები და აქედან გამოეტანა შესაფერი დასკვნები. მას აინტერესებდა ეს ვებერთელა ქვეყანა, როგორც საქონლის და ფულის სავაჭრო ბაზარი. ევროპას არა ერთჯერ ქონდა შემთხვევა დაეკავშირებია რუსეთის ფარგლებში მომწყვდეული ერები, დახმარებოდა მათ პოლიტიკურად, ამოეყენებია ისინი გვერდში და რუსეთის იმპერიალისტური სიძლიერე დაეგრია. თავისუფალ ქვეყნებმა თანდათანობით ხელიდან გაუშვეს პოზიციები, გათამამებული მოსკოვი დღეს ცდილობს მთელი ქვეყნიერების ცენტრი გახდეს. საქმარისი გახდა დიდ ომში მოკავშირეებთან ერთად მოსკოვის გამარჯვება და გერმანიის დამარცხება, რომ რუსეთი მთელს ბალკანეთს დაეპატრონა. იუგოსლავია, ბულგარია, ჩეხია, რუმინია, პოლონეთი—მოსკოვის გარეშე მოთავსოვილია. ყველა დუნაის ირგვლივ მდებარე სახელმწიფოები რუსეთის ხელქვეითია. ეს დროში წინეთ მრავალჯერ დამარცხებული გერმანელ-ლათინურ რასების მიერ, უარყოფილი ბერლინის და ვერსალის საზავო კონფერენციებზე, დღეს სავსებით განხორციელებულია. რა საკვირელია, ამ ერთა ბრძოლა მოსკოვისგან თავის დასახწევით სწარმოებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ფაქტი რჩება მწარე სინამდვილეთ, მოსკოვი იქიდან გამოსვლას არ ფიქრობს. ამნაირად ძველი რუსეთის საგეგმონიო დროში აფრიალებულია მოსკოვის მიერ გაცილებით უფრო ხელსაყრელ პირობებში ვინემ ეს იყო ოდესმე...

მოსკოვი ევროპის კარზეა მომდგარი.

ევროპის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების სტაბილიზაცია მუდამ მოითხოვდა გერმანია-საფრანგეთის მორიგებას, მათ ერთი-მეორესთან დაკავშირებას. სამოცდაათიან წლებში საფრანგეთის და 1914-ში გერმანიის დამარცხებამ ამ ორ ერთა შორის ატმოსფერა მოშაშა, მეზობლური დამოკიდებულება გაამწვავა და ევროპის ოჯახი არივ-დარია. მაგრამ უკანასკნელ ომმა ორივე მხარეს შეაგნებინა ურთი-ერთ დასახლოვებლად გზების ძებნა, ერთი-მეორესთან კეთილმეზობლური ენით დალაპარაკება, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო და გატეხილი ხიდი გამთელებულ იქნა. დასავლეთ გერმანიამ ეკონომიური ურთიერთობის აღდგენით საფრანგეთთან და ატლანტიკის კავშირში შესვლით—ორივემ მხარი-მხარს მისცეს ევროპის ერთ მთლიან პოლიტიკურ სხეულის შექმნისკენ.

ამ უაღრესათ დიდ ისტორიულ მოვლენამ ჩაშალა მოსკოვის გეგმა, გამოაცალა მას ევროპის «ქანდარმის» როლში გამოსვლა.

გერმანიამ პირი იბრუნა ევროპისკენ, მან უარყო ოდეს-
ღაც ვიწრო სამხედრო წრის ლტოლვა მოსკოვისაკენ,—ამოი-
რჩია გზა საითკენაც მას მიაქანებს მისი სასიცოცხლო ინტე-
რესები. გერმანიის ხალხი მოსკოვისთვის საიმედო აღარაა,
ისე თუ მან არ მიიღო საბჭოთა წყობილება,—ეს კი შეუძლე-
ბელია. თუ დასავლეთ გერმანია აშკარა ანტი-კომუნისტურია,
არც აღმოსავლეთია მისთვის საიმედო დასაყრდენი, რაც მან
აშკარად ჰყო ორი წლის უკან აჯანყების მოხდენით. ასე და
ამგვარად გერმანიის დასავლეთისკენ შემობრუნება იძლევა
ერთგვარ გარანტიას ევროპის გადასარჩენათ—მოსკოვის გა-
ვლენის გაფართოების წინ გადასადობავათ... სწორეთ ამით
არის გამოწვეული ხრუშჩოვის ცოფიანი სიტყვები მუქარით
სავსე აღმოსავლეთ გერმანიიდან წარმოთქმული. აქედან სჩანს
თუ როგორ შემფოთებულია კრემლის ცარისტული პოლი-
ტიკა, მას აინტერესებს არა ამ ქვეყნის ბედი, არამედ დასავ-
ლეთის კავშირიდან გერმანიის ამოგდება და იქ მოსკოური
მართველობის დამყარებით და თავის დროის ქვეშ გერმანი-
ის გაერთიანება.

თუ ანლო აღმოსავლეთში მოსკოვის ინტრიგებს გასაეა-
ლი ეძლევა,—გერმანიის ფხიზელ და პოლიტიკურათ გაწრ-
თვნილ ერში მოსკოვის განზრახვების განხორციელება უთუ-
ოთ რომ შეუძლებელია...

პ. სარჯველაძე.

ა ბ ვ ი ს ტ ო .

დრო გადის და ჩვენს თვალწინ მინც რჩება აგვისტოს
რიცხვებში ქართველი ერის გულიდან ამოხეთქილი მრისხანე
ტალღათა ღელვა თავისუფლების დასაბრუნებლად. უცხო
უღლის გადასაგდებათ გაკაჩებული ნებისყოფა სპონტანიუ-
რად ამხედრებული ფართე ხალხური გატაცებით ეკვეთა ჩრ-
დილოეთიდან შემოჭრილ მტერს. ამ ბრძოლაში თითოეული
ქართველი იყო თავის ქვეყნის სიყვარულით გამსუვალული,
დემოკრატიული იდეალებით შეიარაღებული, მტკიცე გადა-
წყვეტილებით სამშობლოს სამსხვერპლოზე თავის დასადე-
ბათ. გმირული იყო ეს გამოსვლა პატარა ერისა, რადგან იგი
იყო მარტო თავის ძალის ამარა, უიარაღო, ფიზიკურად
სუსტი, მაგრამ სულით მაგარი მრავალრიცხოვან მტერთან
ბრძოლაში. მისი ბრძოლის ყიჟინა ქვეყნიერებას მოედო. მე-
ბრძოლ ერმა ვერ ნახა სათანადო გამომხაურება. მტერმაც
შური იძია არა მარტო მებრძოლ ძალებზე, არამედ მთელი
ერის სხეულზე,—სისხლის ღვარი შექნა. დაგვიზოცეს საუ-
კეთესო მამულიშვილნი, ათასობით განიარაღებულნი ბნელ
სარდაფებში ჩაკლეს. ხალხის აშკარა ბრძოლა და მუხანათუ-
რი პასუხი, რაინდული შეტევა და ლაჩრული თავდასხმა, კუ-

ლტურა და ბარბაროსობა—პირველი ქართველი გმირის ისტორიული ხვედრია—აგვისტოში რომ განმეორდა, მეორე ბარბაროსული, უცხო და მოღალატური. გმირთა ხსოვნამ, მათმა თავგანწირულმა ბრძოლამ დაგვიტოვა ანდერძათ: საქართველომადმი ერთგულება, და ბრძოლის გავრცელება სრულ გამარჯვებამდის.

ქართველი ერი უცხო ბატონობას არასდროს არ შერიგებია, რომ დღეს შეურიგდეს. მისი სული მუდამ მიისწრაფებოდა თავისუფლებისკენ, იგი მუდამ იყო ამხედრებული ძალადობის, უსამართლობის წინააღმდეგ.

რომელი კუთხე ქვეყნისა არ მიილტვის დღეს იყვეს თავისუფალი, რომ ათასწლოვან კულტურით დატვირთულმა ქართველმა ერმა უარი სთქვას საკუთარი ეროვნული კერის აღდგენასე?

დღე-მიწის მიყრუებულ მხარეებში იღვიძებენ გუშინ უჩინარი ერები და შედიან საერთაშორისო ერთა ოჯახში. მიმდინარე ეპოქის დამახასიათებელია, ერთა გამანთავისუფლებელი მოძრაობა. ამ ბუნებრივ მოკავშირეთა ბრძოლაც ჩვენი თანამგზავრი და ჩვენი დამხმარეა.

გვმართებს სიწმინდით შევინახოთ აგვისტოში დახატულ გმირთა ხსოვნა, მათი სახელი სამუდამოდ აღიბეჭდება მომავალ თაობათა ხსოვნაში, მთელ ქართველ ერში, რომელიც ფიზიკურად და მტკიცეთ სდგას თავისუფლების სადარაჯოზე.

ა. ტატიშვილი.

რ ა ხ ღ ე ბ ა პ ო ლ ო ნ ე თ შ ი ?

პოლონეთის ამბები ამ უამად საერთო ყურადღებას იპყრობს, და ეს მან საეხებით დაიშახურა. ზოგადად ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს ყოველივე ამას. სამწუხაროთ, უგაზეთობის გამო, ჩვენ საშვალეობა არ გვქონდა მიგვეწოდებია მისთვის აქ მომხდარი ამბები თანამიმდევრობით. ამიტომ გვიხდება ამ საყურადღებო ამბებიდან მივაწოდოთ მას ზოგიერთი და ისიც დაგვიანებით.

თავისუფალი ქვეყნების პრესის კორესპოდენტები თითქმის ყველა აღნიშნავს, რომ, როცა პოლონეთში შედიხარ, პირველყოვლისა გაიგონებთ ორ სიტყვას: ეს ორი სიტყვაა—«ოქტომბრის შემდეგ». და ეს სწორიცაა. «ოქტომბრის ამბები» ვახდა დასაწყისი სრულიად ახალი ცხოვრების და ეს ახალი ცხოვრება მართლაც რომ დაიწყო მთელ პოლონეთში.

როცა პოლონეთში ეს «ოქტომბრის დღეები» დაიწყო, არავის არ სჯეროდა, რომ შექმნილი «ახალი რეჟიმი» რამდენიმე კვირის მეტს გასტანდა. გარდა პოლიტიკისა, ამ საერთო იტვიანობას აძლიერებდა ის სრული ეკონომიური ქაოსი, რომელიც მოდებული იყო მთელ პოლონეთში, როგორც შედეგი

კომუნისტური ხელისუფლების ეკონომიური საქმიანობისა. ბევრი იმაშიაც იყო დარწმუნებული, რომ მოხდებოდა კრემლის ისეთივე ინტერვენცია, როგორც მოხდა უნგრეთში. იყვენ ისეთებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ პოლონეთი სრულიად აიღებდა ხელს კომუნიზმზე და საბჭოთა ბლოკიდანაც გამოვიდოდა. სინამდვილეში არცერთი ეს არ მოხდა. ამბავთა და მოვლენათა დენამ ისეთი ხასიათი და ფორმა მიიღო, რომ ყოველგვარ მარჩიელობას და წინასწარმეტყველებას გადააქარბა. უეცრად, კომუნისტი გომულკა პოლონელ დიდ უმრავლესობისათვის პოლონეთის დამოუკიდებლობის და მისი აღდგენის სინონიმი გახდა! რამდენიმე თვის წინეთ რომ ვინმეს ეს ეთქვა—გიჟს დაუძახებდნენ. ხალხი, რომელიც თავის უსაზღვრო უბედურების მიზეზად სთვლის კომუნიზმს, და ეს სრულიად სამართლიანად, დღეს, ასე მოულოდნელად, გვერდში ამოუდგა ამ კომუნიზმის მეთაურს გომულკას, რომელსაც არა მცირედნი წილი უდევს ყველა იმ უბედურებაში, რომელიც პოლონელ ხალხს თავს დაატყდა!

რა მოხდა? გაკომუნისტდა პოლონელი ხალხი? სრულიადაც არა. პირიქით. დღეს მას კომუნიზმი კიდევ უფრო სძულს, ვინემ გუშინ. მაშ რა მოხდა? მოხდა ის, რომ ამ ათი წლის განმავლობაში, პოლონეთის კომუნისტურმა რეჟიმმა იმდენად ამოსწურა თავის თავი, რომ ის მის შემქნელ პარტიის მეთაურობასაც კი მობუზრდა და მოსძულდა და გომულკას აღმოაჩნდა იმდენი გამბედაობა, რომ ეს ეცნო და მისი რადიკალური შეცვლით თავის ცოდვები გამოეყიდა ერისა და ისტორიის წინაშე. და მან, მართლაც რომ მოახდინა დიდი და რადიკალური ცვლილება.

რა ცვლილებებია ეს? ეს ცვლილებები მრავალნაირია, მაგრამ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ უმთავრესთ. დაწყარდა მთელ პოლონეთში სრული თავისუფლება სიტყვის და ბეჭდვის. გაუქმებულ იქნა პოლიტიკური პოლიციის თარეში ცხოვრების ყველა სფეროში; გაუქმებულ იქნა დიდი უმრავლესობისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარება სახელმწიფოსათვის; დაშლილი იქნა კოლხოზების თითქმის ცხრაშეათედი; განთავისუფლებული იქნა დევნისაგან რელიგია; მიუხედავად წარმოუდგენელი ეკონომიური კრიზისისა გადიდებული იქნა მუშათა ხელფასი ოცი პროცენტით; აღდგენილ იქნა კეთილმეზობლური განწყობილება დასავლეთის სახელმწიფოებთან; გაუქმებული იქნა მოსკოური გეგმა მეურნეობისა და ახალ გეგმაში უპირატესობა მიენიჭა მსუბუქ ინდუსტრიას; ჩამოხსნილ იქნა «რკინის ფარდა» და განთავისუფლდა რადიოს მიღება-გადაცემა და უცხოეთის პრესა ყოველგვარი აკრძალვისაგან; წინეთ აკრძალული უცხოეთის ლიტერატურა დღეს თავისუფლათ იყიდება; მიენიჭა უნივერსიტეტებს და სტუდენტებს სრული თავისუფლება აკადემიურ სფეროში და სპეციალობის არჩევაში; მთავრობამ საჯა-

რომ და კათეგორიულად განაცხადა, რომ ის არც ერთ პოლიტიკურ მიმართულებას არ გაუწევს მფარველობას და რომ კომუნისტური პარტია აწი აღარ ჩაერვეა მწერლობის საქმეში ადმინისტრაციულად.

როგორც ცნობილია, დემოკრატიულ ქვეყნებში პარლამენტის ძირითად მოვალეობას შეადგენს კანონების გამოცემა. მაგრამ თუ პარლამენტი მხოლოდ რამდენიმე დღით იკრიბება, მას არ შეუძლია ეს თავისი მოვალეობა შეასრულოს. ასეთ შემთხვევაში კანონის ადგილს იჭერს მთავრობის განკარგულებანი. ასეთი იყო მდგომარეობა პოლონეთში «ოქტომბრის ამბებამდე». წინეთ იქ სეიმის სესია გრძელდებოდა არა უმეტეს რვა დღისა. ახლა კი სეიმის სხდომები ხდება შეუწყვეტლად. და ამ სესიების დროს მთავრობას არ შეუძლია გამოსცეს რაიმე განკარგულება მისი დასტურის გარეშე. თანახმად ამ ახალი წესისა, სეიმის პირველი სესია დაწყებული 20 თებერვალს, დასრულდა 30 ივლისს. მეორე ძირითადი ცვლილება სეიმის მუშაობაში არის ის, რომ მთავარი მუშაობა გადავიდა კომისიებში, სადაც წინასწარ იხილავენ ყველა კანონპროექტებს და თავის შესწორებებით და თუ დამატებით უდგენ სეიმს შესწავლილ და დამუშავებულ კანონპროექტს. და რომ ეს უბრალო ფორმალაობა არაა, სჩანს იქიდან, რომ გაზეთების ცნობით, პირველ სესიაში წარდგენილ მთავრობის 25 კანონპროექტიდან—კომისიას უცვლელად მიუღია მხოლოდ ორი. თუ რა ინტესიური მუშაობა ჩაუტარებია კომისიებს სჩანს იქიდანაც რომ მას ერთ სესიაში ჰქონია 247 სხდომა. მარტო ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვისათვის კომისიას მოუწოდებია—25 სხდომა და მთავრობის მიერ წარმოდგენილ პროექტში 150 შესწორება შეუტანია. ახალი სეიმის მუშაობაში მნიშვნელოვანია ისიც, რომ სრულიად არაა სავალდებულო კანონპროექტის მიღება ერთხმად. არც ერთი კანონი ამ პირველ სესიაში არ მიუღია სეიმს ერთხმად. ვინც აძლევდა ხმას წინააღმდეგ—არც კი მალავდა ამას. პირიქით, გამოდიოდა ტრიბუნაზე და ასაბუთებდა თუ რატომ აძლევს ხმას წინააღმდეგ. დეპუტატებს შეკითხვის უფლებითაც ფართეთ უსარგებლიათ. ამ სესიაში შეუტანიათ—38 შეკითხვა. თქმა არ უნდა, ყოველივე ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ პოლონეთის სეიმი უკვე ახორციელებს იმ უფლებებს, რომელსაც ანიჭებს მას კონსტიტუცია. მაგრამ წინანდელ სეიმთან შედარებით ეს, უეჭველად, მეტად დიდი ნაბიჯია წინ. ხოლო საბჭოთა კავშირის «უმალეს საბჭოსთან» ღომ შედარებაც არ შეიძლება. იქ არც კი კითხულობენ კანონპროექტებს, ისე ამტკიცებენ.

კიდევ უფრო საინტერესოა დეკრეტი, სასოფლო-მამეურნეო პოლიტიკის შესახებ. ეს დეკრეტი გამოიკა ამ რვა თვის წინეთ და ახლა პოლონეთის გაზეთები აღნიშნავენ თუ რა შედეგი მოჰყვა მას. ამ დეკრეტით მთავრობამ ხელაღებ უარყო

სტალინის ის დოგმა, რომლის თანახმად, სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების გადიდება თითქოს შესაძლებელი იყოს მხოლოდ კოლხობების და სოფხობების სისტემით. ახალი ხაზი, პირიქით, ეყრდნობა იმას, რომ პროდუქტების გადიდება შესაძლებელია გლეხობის ინდივიდუალური მეურნეობის საშველებით. ამ მოტივით დეკრეტი ეყრდნობა ორ პრინციპს: 1. დამტკიცება მიწების გლეხებისათვის საკუთრებათ. 2. გადიდება პროდუქტების ფასების. თანახმად ამისა მთავრობამ, ერთი მხრით, შეამცირა ჩაბარების სავალდებულო ნორმა, მეორე მხრით, ჩაბარებულზე ფასი გაადიდა ასი პროცენტით. ამით გაიზარდა გლეხობის შემოსავალი, რამაც თავის მხრივ გამოიწვია გლეხობის დაინტერესება თავის მეურნეობის გაძლიერებაში. ამას კი შედეგათ მოჰყვა პროდუქტების რაოდენობის ზრდა ბაზრისათვის. ამავე გაზეთების გადმოცემით ეს ზრდა უკვე აღემატება 17 პროცენტს. ამ ზრდას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ამ დეკრეტის გამოცემიდან მთავრობამ სახელმწიფოსთვის სავალდებულო ჩაბარებისაგან, სრულიად გაანთავისუფლა ყველა ის მეურნეობა, რომლის სივრცე არ აღემატება ორ ჰექტარს. ასე რომ, მთელი პოლონეთის გლეხთა მეურნეობის ერთი მეოთხედი უკვე სრულიად განთავისუფლდა ყოველგვარი სავალდებულო ჩაბარებისაგან.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საკუთრების საკითხი მიწაზე. ივლისის დასაწყისში სეიმმა მიიღო კანონი მიწების თავისუფლათ სყიდვა-გაყიდვის შესახებ. ამ კანონით შესაკუთრეს უნდა მიეცეს დამტკიცებული საბუთი, რომ მიწა ეკუთვნის მას. ისინი, ვინც დღემდე სახელმწიფო მიწებს ამუშავებდნენ, როგორც მოიჯარადრენი—გამოცხადებული იქნენ ამ მიწების კანონიერ შესაკუთრებათ. და ამაში მათ უნდა მიეცეთ საბუთი შემოწმებული ნატარიუსის მიერ. რაოდენობის მხრით კანონში, ის შეზღუდვაა, რომ მიწა არ მიეყიდება იმათ, ვისაც აქვთ 20 ჰექტარი. როგორც ყველა კომუნისტურ ქვეყნებში—პოლონეთშიაც ყველა მიწები იყო ჩამორთმეული და ეკუთვნოდა სახელმწიფოს. თანახმად ამ ახალი კანონისა. ამ სახელმწიფო ფონდიდან მთავრობამ უკვე მიჰყიდა გლეხობას საკუთრებათ—300.000 ჰექტარი. მაგრამ მოთხოვნილება მიწაზე იმდენათ დიდია, რომ ახლო მომავალში კიდევ გაიყიდება—200.000 ჰექტარი. ასე რომ, სულ მცირე დროს განმავლობაში გლეხობის ხელში უკვე გადავა საკუთრებათ ერთი მეხუთედი ყველა იმ მიწებისა, რომელიც დღემდე სახელმწიფოს ხელში იყო. რაც შეეხება კოლხობებს, ისინი ხომ უკვე ფაქტიურად აღარ არსებობენ გასული წლის ნოემბრიდან და აღარც ვინმე ფიქრობს მის აღდგენაზე.

რა თქმა უნდა პოლონეთის დღევანდელ პოლიტიკას სერიოზული ოპოზიცია ჰყავს შიგნით, პარტიაში. მაგრამ ხალხის დიდი უმრავლესობის თანაგრძობა ამ ცვლილებებისადმი იმდენად დიდია, რომ ოპოზიცია ვერ ბედავს აქტიურათ

გამოვიდეს მის წინააღმდეგ. აღსანიშნავია რომ პოლონეთის მთავრობის ამ ახალ სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას გააფთრებული ებრძვის აგრეთვე ჩეხიის, საბჭოთა კავშირის, ბოლგარიის და აღმოსავლეთ გერმანიის პრესა. მათ ეშინიათ, რომ თუ ამ ახალმა პოლიტიკამ მართლაც გაიმარჯვა მაშინ ისინი ვეღარ შესძლებენ კოლხოზური სისტემის დაცვას და იძულებული გახდებიან დაადგენ პოლონეთის გზას. ეს კი სრულიად არ შედის მათ ანგარიშში. მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, დღევანდელი პოლონეთი მტკიცე ნაბიჯით მიილტვის წინ და სრულიად არ ფიქრობს უკან მოხედვას. ამიტომ, უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ პოლონეთის მაგალითი სათანადო გამოძახილს იპოვის ყველა კომუნისტურ ქვეყნებში, და პირველყოფილსა, თვით საბჭოთა კავშირში, რაც იქნება დასაწყისი მისი დასასრულისა...

გწ. უნატაძე.

❖

სიყვამილე, სიძველე, სიხარული...

საბჭოთა რესპუბლიკის კავშირის პრეზიდენტმა—ვოროშილოვმა მოსკოვში გამართულ ფესტივალის გახსნაზე უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ ახალგაზდების დელეგატებს მიმართა და სხვათა შორის უთხრა: «თქვენ მოხვედით ფესტივალზე სხვადასხვა წეს-წყობილობის ქვეყნებიდან: სხვადასხვა რწმენით, სარწმუნოებით და აზროვნებით. ჩვენ მოგესალმებით თქვენ ყველას ერთნაირად. ჩვენ ვთვლით, რომ ყველა ერს აქვს უფლება მოაწყოს თავისი საზოგადოებრივი ცხოვრება ისე, როგორც მას სურს. ჩვენ არაფერს არ ვახვედით და არც ვფიქრობთ სხვას ვისმეს მოვახვიოთ ჩვენი იდეები და შეხედულებანი».

დიდებული ნათქვამია საბჭოთა წარმომადგენელისაგან; ეს სწორედ სადღეისო ბრწყინვალე დემოკრატიული დებულებაა, რომლის ცხოვრებაში განხორციელებას შეუძლიან დღევანდელი საერთაშორისო ძირითადი პრობლემა ზავის და მშვიდობიანობის უმტკივნელოთ გადაწყვეტოს, რაც ააცდენს კაცობრიობას მოსალოდნელ კატასტროფას—ომს, ქვეყნის აზრებას და დაღუპვას, რის წინაშეც სდგას ის და განიცდის უდიდეს საშიშროებას და მღელვარებას.

საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე მომქმედ-მოქმედ მთავარ დიდ სახელმწიფოების მიერ, ვის ხელშიაც არის საუბე კაცობრიობის დღევანდელი სვე-ბედის, აღიარება და ცნობა ერის და ხალხის სრული სუვერენული უფლების, რომ აღარ არსებობდეს ძალმომრეობა, რომ ძრიელი ერი ძალით არ ახვედეს სუსტ ერს თავის წესწყობილებას, რომ ყველა ერი იყვეს თავისუფალი და თავის თავის ბატონ-პატრონი, ეს იქნებოდა მკვიდრი და ურყევი საფუძველი ერთა შორის ძმური ურთიერთობის დასამყარებლათ.

სამწუხაროთ, ვოროშილოვის ნათქვამი არ შეეფარდება საბჭოების პრაქტიკულ მოქმედებას, რადგან კრემლის მართველთა პოლიტიკა ერებთან დამოკიდებულებაში იყო და არის დიამეტრალურათ საწინააღმდეგო მათ მიერ საპროპაგანდოთ წარმოთქმულ ლოზუნგების, რაცაა მთავარი მიზეზი მსოფლიოში დღევანდელი გამუდმებული კონფლიქტების, ქვეყნის უდიდესი განცდის და ფორიაქის.

უნგრეთის წარსული წლის ოქტომბერ-ნოემბრის აჯანყება მოსკოვის გეგემონის წინააღმდეგ, უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულთა მწარე ხვედრი, მისი ტრაგედია, ეს ერთი მრავალთაგანი ნიმუშია მოსკოველთა სიტყვის და საქმის შესამოწმებლათ.

რომ ვოროშილოვს და კრემლში მოკალათებულ მის ამხანაგებს მათი საზოგადოებრივი წყობილება ტყვიისმფრქველი ტანკებით ძალით თავზე არ მოეხვიათ უიარაღო უნგრეთის ხალხისათვის, რომ მათ მიეცათ მისთვის თავისუფლება თავის საკუთარი ეროვნული ცხოვრება აეწყო თავის ნებაზე, მაშინ ექნებოდა ფასი და ღირებულება ფესტივალზე წარმოთქმულ ვოროშილოვის სიტყვას, თორემ როცა მოსკოვის ზარბაზნებით გაქლევტილ უნგრელ მუშების და ახალგაზდობის უმანკო დაღვრილი სისხლი ჯერაც არ გამშრალა ბუდაპესტის ქუჩებზე, ვინ დაიჯერებს მათ ამ გვარ ქადაგებას!

ვოროშილოვი არ ამბობს სიმართლეს, რადგან მთელი ამ გავლილ 40 წლის მანძილზე შეუჩერებელიც არღვევდნენ და ფეხქვეშ თელავდნენ ერების თავისუფლებას, მათს სუვერენობას, მათ მისწრაფებას. ვინც არ მიიღო მათი მრწამსი, მათი ბატონობა, მათი წეს-წყობილება; ვისაცკი მისწვდნენ თავიანთ გრძელი ხელით და დიდი მუშტით ყველას მოახვიეს თავიანთი «იდეები და შეხედულობანი». ამას ლაღადებენ უფლებდაყრილი, მოსკოვის უღელ ქვეშ მგმინავი, ძალით საბჭოთა რესპუბლიკის კავშირში შეყრილი ერები, მათ შორის ქართველი ხალხი, რომელიც პირველი მსხვერპლი გახდა მოსკოვის ძალადობის და მისი იმპერიალისტური ზრახვების.

გ. ვრობე.

ჩეკისტების საქმიანობა.

ემიგრაციის არსებობა კრემლის ბატონებს მოსვენებას არ აძლევს. განსაკუთრებით ანერვიულებს მათ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის არსებობა. საგანგებო ფურცელსაც კი უშვებენ ქართულ ენაზე მათ შინ დასაბრუნებლათ. დღემდე არც ერთი სხვა დამორჩილებული ერის ემიგრაციისათვის არ უციათ ასეთი «პატივი». ეს პროვოკატორული ფურცელი —«სამშობლოში დაბრუნებისათვის»—ისე ტკბილათ უმღერის ქართულ ემიგრაციას და ეპატიჟება შინ დაბრუნებაზე.

თითქოს ნამდვილი ჰირისუფალი იყოს და დიდი ხნით მონატრული—შეხვედრის წამებს ითვლიდეს. რას არ სჩადის, რომ მათზე გაცივებული ემიგრანტის გული გაალხვოს და «სამშობლოს კერას» დაუბრუნოს. ბუჭდავს მშობლების, შვილების, დაძმების და სხვა ახლობელი ნათესავების სურათებს, მათ აღერსიან და სიყვარულით აღსავსე წერილებს, იძლევა ნებას ფართე მიწერ-მოწერისა და სხ. და სხ. ერთი სიტყვით, არაფერს ზოგავს, რომ განაწამებ ემიგრანტს მშობლების აღერსით გული მოუღბოს, მოაჩვენოს თითქოს იქ ყველაფერი შეიცვალა და ასე მას სამშობლოში დაბრუნება გაუადვილოს. დაროცა დაბრუნდება—ერთად აზღვევინებს, რასაკვირველია, ძველსა და ახალ «ცოდევებს». მარა ხრუშჩოვი და მისი აგენტები სასტიკად ცდებიან, თუ ფიქრობენ რომ ამით ისინი ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას გასტეხენ და მას თავის ფართეშათ გახდიან. ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ჯერ კიდევ «დედა-ენა»-დან ახსოვს იმ გველის ამბავი, რომელმაც გაზაფხულზე, როგორც კი გამოიცვალა კანი, შესრიალდა გლეხთან და უთხრა: ხომ ხედაე—კანი გამოვიცვალე, ახლა მაინც ვიცხოვროთ ერთადო. ჭკვიანმა გლეხმა უპასუხა: კანი კი გამოიცვალე, მაგრამ გული ისევ ძველი გაქვსო და გაუჭყეჭყა თავი. როგორც კანგამოცვლილმა გველმა ვერ შეაცდინა გლეხი, ისე, ვითომდა კანგამოცვლილი ხრუშჩოვი, ვერ შეიყვანს შეცდომაში ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას. ეს მანაც იცის კარგად და ამიტომ, რომ მისი აგენტები ქართულ ემიგრაციაში მრავალ სხვანაირ ზომებსაც მიმართავენ ხოლმე. ჭორების გავრცელება, ცილის წამება, უმნიშვნელო რამის დიდათ გაზრდა, გადაჭარბებულ ნაციონალისტურ სიმეზბზე პროვოკაციული თამაში, შეტანა ორგანიზაციებში არევიდარევის და, რაც მთავარია, სახელის გატეხა იმ პირების, რომლებსაც გავლენა აქვთ და ანტიკომუნისტურ ბრძოლას აწარმოებენ. ამის საუკეთესო მაგალითია ის რაც მოხდა არგენტინაში, სადაც ქართული კოლონიის საპატიო თავმჯდომარეს ბ. აკ. პაპავას და თვით თავმჯდომარე ლ. ჭეიშვილის შესახებ შეთხზეს წერილი, მოაწერეს ლ. ჭეიშვილის სახელი და გვარი და დაბეჭდეს ჩეკისტების ქართულ ფურცელ «სამშობლოში დაბრუნებისათვის». ამ პროვოკაციული წერილის შესახებ ჩვენმა რედაქციამ მიიღო ორი წერილი:

I.

«წმრილი რედაქციის მიმართ»!

გთხოვთ მომცეთ საშვალეება ქართულ ემიგრაციის საყურადღებოდ განვაცხადო შემდეგი:

რუს ბოლშევიკების აგენტების, ყოვლად უღირს ქართველების მიერ შედგენილ განეთის «სამშობლოში დაბრუნებისათვის» მეშვიდე ნომერში მოთავსებულია წერილი, პროვოკაციული შინაარსისა, რომელსაც ხელს აწერს «ლ. ჭეიშვილი».

ამით საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ ეს წერილი მე არადროს დამიწერია და ამის მსგავსი ცილისწამება ჩემზე ან ბ. ა. პაპავაზე, რასაკვირველია, ფიქრადაც არ მომსვლია... ვაცხადებ, რომ «წერილი» თავიდან ბოლომდე სიცრუეა და კრიმინალური სიყალბე, რომელიც ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ რაგვარ პროვოკაციებზე მიდიან ბოლშევიკების «ქართული» აგენტები და რა ფასი აქვს მათ გაზეთში გამოქვეყნებულ «წერილებსა და განცხადებებს». ამასთანავე ერთხელ კიდევ ირკვევა, თუ ვინ ბრძანდებიან ამ «განცხადებების» ნამდვილი ავტორები, ვის საქმეს ემსახურებიან და ვის პურსა სჭამენ ეს ერისა და ჩვენი ქვეყნის შემარცხვენელი.

მათი ნამდვილი სახე და კრიმინალური წარსული (არგენტინაში მყოფთა) ცალკე იქნება გამორკვეული ჟეშმარიტ მამულიშვილთა გასაფრთხილებლად.

ლეონიდ ჭეიშვილი
თავმჯდომარე არგენტინის
ქართველთა ასოციაციისა.

II

პატარა ბრლვგატორთა ახალგაზადად.

ბოლშევიკ რუს ლენერლის, მიხაილოვის გაზეთის დამატებით ფურცლებში, «სამშობლოში დაბრუნებისათვის», რომელიც უღირს «ქართველთ» შეუთხზავთ და, ჩვენდა სამარცხეინოდ ქართული ასოებით დაუბეჭდიათ, სხვათა შორის, მოთავსებულია ორი ყოვლად უნიჰო ლექსი, რომელსაც ხელს აწერს ვილაც «ა. პ.» (იხ. ფურცლის № 6).

ყოველგვარ გაუგებრობათა და ჩვენი ეროვნული საქმის ზოგ უჩინარ და ქვემძრომ მტერთა «გადაკრული სისინის» ასაცდენად, მინდა განვაცხადო, რომ ამ მისტიურ «პოეტს», რომელიც ამ «ა. პ.»-ს უკან ლაჩრულად იმალება, და საქართველოს ჯალათების პატარა აგენტი გამხდარა, მე არ ვიცნობ და არც რაიმე სურვილი მაქვს მას ვიცნობდე.

ქართული პატრიოტული საქმის ერთგულნი, ზოგიერთი ჩემი მეგობრები, ამასთან დაკავშირებით, მაუწყებენ, რომ ეს უბადრუკი ლექსები განგებაა მოწერილი «ა. პ.»-ს ინიციალებით, რათა მისმა ავტორმა, პატარა პროვოკატორმა, ჩემს სამწერლო და პოლიტიკურ-ეროვნულ მუშაობას რაიმე ჩრდილი მიაყენონ.

ამასთან მინდა მოგახსენოთ, რომ ამგვარ პატარა «პოეტების» ნაჯღაბ-ნაცოდვილარ პიროვნებათა, რომლებიც თვისი მბრძანებლების მორიგ დაკვეთას ასრულებენ, მე ჩემ გზას—საქართველოს განთავისუფლებისათვის სპეტაკ სამსახურისას, ოდნავადაც ვერ ამაცდენენ; ხოლო ვინაც ამ სტრიქონების დამწერის წარსულს იცნობს, მისთვის ყოველივე ნათელია და რაიმე განმარტებას არ საჭიროებს...

აკაკი პაპავა.

ამ გაუგონარმა სისაძაღლემ საერთო აღშფოთება გამოიწვია ყველგან. თვით არგენტინაში შესდგა სასწრაფო კრება კოლონიისა. ამ კრების ანგარიშს მკითხველი ვაეცნობა იმ წერილში, რომელიც იბეჭდება ამჟამად ნომერში—«წერილი არგენტინიდან». აქ კი ვათავსებთ იმ დადგენილებას, რომელიც მიუღია კრებას ერთხმად. აი ეს დადგენილება:

არგენტინის ქართულ სათვისტომოს 25 ივლისის საგანგებო საერთო კრებაზე მიღებული დადგენილებანი.

არგენტინის ქართულ სათვისტომოს საერთო კრებამ მოისმინა თავმჯდომარის, დ-რ ლ. ჭეიშვილის მოხსენება შესახებ არგენტინაში მყოფ თითო-ორთა განმდგარ ქართველთა მავნებელ საქმიანობისა, რაიც წლების მანძილზე გრძელდებოდა და სამწუხაროდ, არც აქამდე შეწყვეტილა და რაიც მიმართულია ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური მუშაობის შესაფერხებლად.

ეს ჩვენი მთლიანობისა და სამშობლოს ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართული მოქმედებანი ამ პიროვნებათა ბოლო დროს იღებენ მავნებელ და ყოვლად სამარცხვინო-პროვოკატორულ ხასიათს, რის საწინააღმდეგოდ მიღებულ უნდა იქმნას დაუყონებლივ მტკიცე ზომები.

ეს უმსგავსო შემოტევა ქართულ პატრიოტულ საქმიანობის წინააღმდეგ უკანასკნელ ხანებში გამოიხატა იმაში, რომ ერთ-ერთ მოღალატე ქართველს ჩვენი ეროვნული ფრონტის დაშლის მიზნით კრიმინალობაც კი ჩაუდენია: სახელდობრ, ჩვენი მტრების ამ აგენტს შეუდგენია ყალბი წერილი ქართული კოლონიის თავმჯდომარის და მისი საპატიო თავმჯდომარის სახელის გატეხის მიზნით, აუხსია ეს წერილი გაუგონარის და პროვოკატორულის ცილისწამებით და—რაც მთავარია—კოლონიის თავმჯდომარის სახელით მოუწერია და ეს სიყალბე კომუნისტურ გამოცემაში: «სამშობლოში დაბრუნებისათვის», № 7 გამოუქვეყნებია...

საერთო კრება ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ ეს საზიზღარი პროვოკაცია დაწერილი და გავრცელებულია ჩვენი სამშობლოს მტერთა პირდაპირის, თუ არაპირდაპირის დაკვეთით, რათა ჩვენს ეროვნულ საქმიანობას ხელი შეუშალონ და კოლონიის ზოგიერთ ხელმძღვანელთა სახელს ჩირქი მოსცნონ,—რომ ამ მიზნისათვის მათ გამოუყენებიათ არგენტინის სათვისტომოს გარეშე მდგომი ყოვლად უღირსი «ქართველი»; რომ ამ ყოველგვარ ბნელ საქმეების მკეთებლებმა, ამგვარი ცილისწამების და პროვოკაციების «განცხადება» შეთხზა, მას კოლონიის თავმჯდომარის სახელი მოაწერა, გაგზავნა და გამოაქვეყნებინა იმ ბოლშევიკურ გამოცემაში, სადაც მას ალბად ენდობოდნენ და რომლის რედაქციის პასუხისგებაში მიცემის საშუალება ჩვენ ფაქტიურად არა გვაქვს.

სათვისტომო ერთხმად ჰგმობს ასეთ საზიზღარ პროვოკაციას. სასტიკად ჰკიცხავს ამგვარ ლაჩარ მოღალატეს, რომე-

ლიც მსგავს მზაკერულ გამცემლობას სჩადის, და მოუწოდებს ყველას—სასტიკად გაიმიჯნონ ასეთ პიროვნებისაგან. კრება ღრმად დარწმუნებულია, რომ ყოველი ღირსეული პატრიოტი და ჭეშმარიტი ქართველი, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს, ფხიზლად და შეგნებით შეხედავს ჩვენი მტრების მიერ ჩადენილ ამგვარ პროვოკაციას; მისი აგენტების მიერ ჩატარებულ ბნელ და კრიმინალურ უმსგავსოებას ღირსეულად შეაფასებს და თვის წმიდა ბრძოლას ერის განთავისუფლებისათვის უფრო მეტის იმედით და ენერგიით განაგრძობს...

არგენტინის ქართული სათვისტომო ამასთან ერთად ერთხმად ადგენს—გამოუცხადოს სრული ნდობა თვის თავმჯდომარეს ლ. ჭეიშვილს და საპატიო თავმჯდომარეს ა. პაპავას.

ქართული ეროვნული საქმიანობის წარმატებით წაყვანის და ჩვენი ბრძოლის სიწმიდის დაცვის მიზნისათვის კრებას საპიროდ მიაჩნია:

1. სათვისტომომ მეტი სიფხიზლე და სიმტკიცე გამოიჩინოს ყოველგვარ საეჭვო პიროვნებათა მიმართ და შეეცადოს დროზე მათ გარიყვას და მავნე საქმიანობის მხილვას.

2. ქართულ პატრიოტულ მუშაობის ყველგან მწყობრად წაყვანის და იმ სიფრთხილის მიზნით, რასაც დღევანდელი მდგომარეობა განსაკუთრებით გვავალებს, აქ მომხდარი პროვოკაციის ამბები გამგეობამ დაუყონებლივ აცნობოს სხვა და სხვა ქვეყნებში მყოფ ქართულ ორგანოებს და მათ პრესას.

3. მიმართოს გამგეობამ სათანადო ხელისუფლებას თხოვნით, გაუწიოს მან სათვისტომოს ეროვნულ-კულტურულ მუშაობას მფარველობა და დაიცვას ის და მისი წევრები ბოლშევიკურ ბნელ პროვოკაციებიდან და მათი აგენტების დევნა-მუქარისაგან.

ყველა ეს რეზოლიუციები ერთხმად იქმნა საერთო კრების მიერ მიღებული.

დასასრულ კრებამ დაადგინა გამოეცხადოს ბოიკოტი ბ. მ. დ-ს თვისი გაუსწორებელ და მავნებელ საქმიანობისათვის.

ბ. ბ. აკ. პაპავას და ლ. ჭეიშვილს, როგორც მსხვერპლთ ამ საზიზღარი პროვოკაციისა, თანაგრძნობის წერილი გაუგზავნა ქართული ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, საქ. სოც.-დემოკ. პარტიის საზღვარგარეთის ბიურომ და პარიზის სოც.-დემ. ორგანიზაციების შეერთებულმა სხდომამ.

გ. შ.

წერილი არგენტინიდან.

არგენტინის ქართველ პატრიოტთა მუშაობა ჩვენი ერის სამართლიან უფლების დასაცავად და საქართველოს საკითხის საქვეყნოდ გაშუქებისათვის. დიდი ხანია თვალში ეჩხირება ჩვენი ქვეყნის მტრებს და მის ამყოლ-დამყოლთ, ქართულ ბოლშევიკების წისქვილზე წყალს რომ უშვებენ...



30269

ამით უნდა აიხსნას ჩვენი მთლიანობის წინააღმდეგ მოტანილი იერიშები, წლების მანძილზე რომ გრძელდება. მტერი ზოგს შეგნებულად და ზოგს შეუგნებლად იყენებს და ყოველგვარის გზებით ცდილობს ადგილობრივ ქართველებში არსებული უმნიშვნელო უთანხმოება გააღრმავოს, განხეთქილება დაშლამდე მიიყვანოს და ამით ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური მუშაობა დასცეს.

ამის გამოვლენა მოხდა ამ 1—2 წელში, როცა ორიოდე პირადი ამბიციებით შეპყრობილებმა (რაკი თვით სათვისტომოში ვერავითარი გავლენა ვერ მოიპოვეს), მოინდომეს ცალკე დარაზმვა და მეორე ასოციაციის შექმნა. ამ რამდენიმე გზა-აბნეულთა მიზანი სრულიად გაურკვეველი დარჩა, მაგრამ იმ სამი პიროვნების, ვინც მათ ხელმძღვანელობენ, ამგვარი მიზანი თავიდანვე ღია შეიქმნა: უნდოდათ ქართულის სახელით ესარგებლათ და უცხო ერების ორგანიზაციებში შესულიყვნენ და იქ ჩვენთვის ყოველგვარად სახელი გაეტეხათ. სხვას რომ თავი გავენებოთ, არც ერთ მათგანს არავითარი წარსული ეროვნულ მუშაობაში არა აქვს. მაგრამ მთავარი და მავნებელი ის იყო, რომ ზოგ მათგანს ფრიად საეჭვო წარსულიც ჰქონდა! ვერავითარმა გაფრთხილებამ, არც თხოვნამ ვერ გასჭრა, და ამ «გათამამებულმა უეციებმა» (იხ. «მებრძოლი საქართველო» № 10) ქართულ საქმიანობას პატიოსანი სახელი გაუტეხეს.

ბოლოს ქართულ სათვისტომომ საჯარო კრებაზე დაგმო ამ გამოიშველობის მეთაურნი და ისინი (გ. გომელაური, მ. დიასამიძე და ა. ჯიქია) წვერობიდან გამოირიცხა. სამწუხაროდ, არც ამ ზომამ გასჭრა; მათ უფრო უმატეს თვის ბნელ «საქმიანობა»-ს და დაიწყეს ათასგვარი ჭორების და ცილისწამებების გავრცელება. ერთ-ერთმა მათგანმა ბოლოს თვისი უპრინციპობა და გაბოროტება მითი ამქადაგა, რომ მდაბალ ინსინუაციებით სავსე წერილი შეთხზა ზოგი ჩვენი სათვისტომოს მეთაურთა წინააღმდეგ—რამდენიმე გამმდგარი ხელი მოაწერინა და ასეთი ეპისტოლე ერთ-ერთ ქართულ გამოცემას მიაწოდა გამოსაქვეყნებლად. რედაქციამ ამ სიყალბეს, რასაკვირველია, ნიღაბი ჩამოაცალა, მიხვდა—თუ რა ბნელი «საქმე ჩაეწყაოთ» და წერილი არ დასტამბა. ავტორი ამ პროვოკაციებისა მინც არ დაცხრა და რაკი ემიგრანტულ პრესის გზით ვერას გახდა, პირდაპირ ჩვენი მტრების ბანაკში გადაბარგდა და უსირცხვოდ იქედან შემოგვიტია... მართალია, მან მითომ ნიღაბი აიფარა და თვისი ცილისწამების და გამცემლობა-დასმენის წერილს კოლონიის თავმჯდომარის ლ. ჭეიშვილის სახელი მოაწერა, მაგრამ ასეთი ნიღაბით მისი ნამდვილი სახე და ზრახვა ვერ დაფარა და ერთ კრიმინალობას მეორე, უფრო მძიმე თან დაერთო.

ამ გაუგონარმა პროვოკაციამ მთლიანად აღაშფოთა თვითეული ქართველი და ყოველი მათგანი ხედავდა, თუ სანამ-

დის აღწევდა ბოლშევიკური გახრწნა ჩვენს დღემდე სუფთად შენახულ ემიგრაციაში. ამის გამო მოწვეულ იქნა ამაწლის 25 ივლისს საერთო, სასწრაფო კრება, რომელმაც მოისმინა ეს სისაძაგლე, ერთსულღვნად დაგმო და გააკიცხა ასეთი გამცემლები და მათი შეგნებულად, თუ შეუგნებლად ამყოლნი და სათვისტომოს თავმჯდომარეს და საპატიო თავმჯდომარეს სრული ნდობა გამოუცხადა. კრებამ ერთხმად მიიღო ვრცელი რეზოლიუცია, რომელიც რედაქციებს და სათვისტომოებს დაეგზავნა.

ზოგი ფიქრობს, ავტორი ამ სისაძაგლისა თუმცა არგენტინაში იმყოფება, მაგრამ მისი ინსპირატორი და დამხმარე აქედან შორს, ევროპაშია მოკალათებული. მაგრამ ბოლოს არ ეს დაიძალევა და ნამდვილი გამცემლები და სულმდაბალი ქვემძრომები დღის სააშკარაოზე იქმნებიან გამოყვანილი.

საერთო კრების დასასრულს შეტანილ იქმნა წინადადება, რათა მიხ. დიასამიძეს, რომელიც წლების მანძილზე ათასგვარ ცილისწამებებს ავრცელებს ჩვენი საზოგადოების და მისი მეთაურების შესახებ, ბოიკოტი გამოეცხადოს და ეს ბოიკოტი მისი ზოგი ამყოლისათვის გაფრთხილება უნდა იქმნეს. კრებამ ეს დადგენილებაც ერთხმად მიიღო და მ. დიასამიძეს ბოიკოტი გამოეცხადა.

დამხსნე.

სოციალისტური ინტერნაციონალის მეხუთე კონგრესი.

ორ ივლისს ვენაში გაიხსნა სოციალ. ინტერნაციონალის კონგრესი, რომელზედაც ღებულობდენ მონაწილეობას ევროპის, ამერიკის, აზიის და აფრიკის 30 სახელმწიფოდან სოციალისტური პარტიების დელეგატები. კონგრესს ესწრებოდენ აგრეთვე მრავალრიცხოვანი სტუმრები და პრესის წარმომადგენელი. კონგრესი გახსნა სოც. ინტერნაციონალის თავმჯდომარემ და ინგლისის მუშათა პარტიის გენერალურმა მდივანმა მორგან ფილიპსმა. პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ავსტრიის სოც. პარტიის თავმჯდომარემ და ვიცე-კანცლერმა დრ. პიტტერმანმა.

შემდეგ მ. ფილიპსი აცნობს კონგრესს სეკრეტარიატის მუშაობას და თან მადლობით იგონებს ახლად გარდაცვლილ ინტერნაციონალის გენ. მდივნის ბიარნე ბრაატონის მოღვაწეობას. სოც. ინტერნაციონალის გენერალურ საბჭოს სახელით ფილიპსი აძლევს წინადადებას კონგრესს ინგლისის მუშათა პარტიის წევრის აღფრედ კარტის გენ. მდივანთ არჩევის შესახებ. კონგრესი ერთხმად ადასტურებს ა. კარტს გენ. მდივნის თანამდებობაზე. კარტი უკანასკნელ ხანამდე თანამშრომლობდა ინგლისურ პროფესიონალურ კავშირების ინ-

ტერნაციონალურ განყოფილებაში. სოც. ინტერნაციონალის თავმჯდომარეთ კი არჩეულ იქნა მ. ფილიპისის მაგიერ დანიელი სოციალდემოკრატების დელეგატი და დანიის ყოფილი სამხედრო მინისტრი ალზინგ ანდერსენი.

ამ დროდათ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ა. ანდერსენის არჩევა, განსაკუთრებით ჩვენთვის, მოსკოვის იმპერიალისტების მიერ დაპყრობილ ქვეყნების სოციალისტურ პარტიებისათვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა, ვინაიდან ანდერსენი შეუირიგებელი მტერია მოსკოვის ტირანების და მათი პოლიტიკისა. ამას აშკარად მოწმობს გაერთიანებულ ეროვნებათა კომიტეტის მიერ გამოტანილი რეზოლიუცია უნგრეთის საკითხზე. ამ კომიტეტის თავმჯდომარეთ კი, როგორც ვიცით, არის ანდერსენი. და თავათ ამის გამო მოსკოვის პრესა სასტიკად ილაშქრებს მის წინააღმდეგ.

თავმჯდომარის ამხანაგებათ კი არჩეულ იქმნენ ოლენ-აუერი (გერმანია), გაიტსკელი (ინგლისი) და მოლლე (საფრანგეთი).

კონგრესის დღიურ წესრიგში იყო უმთავრესად დასმული განსახილველად, როგორც საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება, ისე უნგრეთის, გერმანიის, ალჟირის, განიარალების და თანაარსებობის საკითხი და სხვ...

ჩვენს ყურადღებას უმთავრესად იქცევდა დებატები უნგრეთის და სხვა მოსკოვის მიერ დაპყრობილ ქვეყნების მდგომარეობაზე. თავის გამოსვლებაში ყველა ქვეყნის დელეგატები ერთსულოვნათ გამოდნენ მოსკოვის ბრუტალურ და იმპერიალისტურ პოლიტიკას და უცხადებდნენ თავის უალრეს თანაგრძობას თავის ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლებისათვის მებრძოლ ერებს. ეს აშკარად სჩანს იმ რეზოლიუდანაც, რომელიც მიღებულია უნგრეთის საკითხის გამო. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ კონგრესი ხმას იმაღლებს თავისუფალ სამყაროს წინაშე იმ საშინელ ტერორის წინააღმდეგ, რომლის საშეალებით კომუნისტური ხელისუფლება შურს იძიებს თავისუფლებისათვის მებრძოლ უნგრელ პატრიოტების მიმართ... შემდეგ ნათქვამია რეზოლიუციაში, რომ კონგრესი თავის აღშფოთებას და პროტესტს გამოთქვამს არა მარტო უნგრეთის დაპყრობის და იქ გამეფებულ ტერორის, არამედ აგრეთვე ყველა დევნილთა და დაპყრობილ ქვეყნების გამოც. სოც. ინტერნაციონალი აღუთქვამს თავის სოლიდარობას ყველა ქვეყნების თავისუფლებისათვის მებრძოლთ და უძღვნის მათ თავის სალამს...

ინგლისის მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი ანუთრინ ბევანი აცხადებს, რომ ჯერ უნდა იქნას აღდგენილი ერების დამოუკიდებლობა და მხოლოდ მერმედ შეიძლება ლაპარაკი თავისუფალ ინტერნაციონალურ თანამშრომლობაზე...

ავსტრიის სოც. პარტიის დელეგატი, ვენის სოციალის-

ტური გაზეთის რედაქტორი ოსკარ პოლაკი და სხვა ორატორებიც აცხადებენ, რომ თანაარსებობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, თუ კი ყველა პოლიტიკური ტუსალები განთავისუფლებულნი იქნებიან, სოციალისტურ და სხვა დემოკრატიულ პარტიებს მიეცემათ საშვალეება თავისუფალ მოქმედებისა...

აი ასეთი სულისკვეთება იყო კონგრესზე მოსკოვის დიქტატორების წინააღმდეგ და ეს გვაძლევს იმედს, რომ ჩვენს უთანასწორო ბრძოლაში ჩვენი ერის განთავისუფლების საქმეში მარტო არა ვართ.

კონგრესი გრძელდებოდა ხუთ დღეს. დასასრულ დღე-გატები მიწვეულნი იყვნენ ბანკეტზე ჯერ ავსტრიის პრეზიდენტთან და შემდეგ ვენის ქალაქის თავთან...

ნ ივნისს ვენის თვითმართველობის მოედანზე გაიმართა გრანდიოზული მიტინგი კონგრესის მნიშვნელობის აღსანიშნავად...

ავსტრიის ვიცე-კანცლერმა დრ. პიტტერმანმა უთხრა იქვე მის გვერდში მდგომ ამ სტრაიქონების ავტორს: «ვისურვებდით რომ თქვენც შეგძლებოდათ თქვენს ქვეყანაში მღლე ასეთი მიტინგების გამართვა...» პიტტერმანის ასეთი სურვილი მისივე თანხმობით იმ დღესვე გადაეცა რადიოსადგურის «განთავისუფლება»-ს საშვალეებით საქართველოს...

მეხუთე ინტერნაციონალურ კონგრესს ვენაში წინ მიუძღოდა ქალთა სოციალისტური ინტერნაციონალურ კონგრესი და აღმოსავლეთ ევროპის «ეგზილში» მყოფ სოციალისტების კონფერენცია. ქალთა კონგრესი იყო მოწვეული ამ ორგანიზაციის არსებობის 50 წლის თავის აღსანიშნავად. 1907 ჩელს გერმანიაში, ქალაქ შტუტგარტში ჩაეყარა საფუძველი ქალთა სოც. ინტერნაციონალს. როგორც ქალთა კონგრესზე ისე აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტების კონფერენციაზე გამოქონდათ რეზოლიუციები მოსკოვის დიქტატორების წინააღმდეგ. უნგრეთის თავისუფლებისათვის მებრძოლი, ნადის მთავრობის წევრი, ანა კეტლი თავის გამოცხადებით ამ კონგრესებზე იქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას... ის ჩვენთან საუბარში იგონებდა ქართველი ერის თავგანწირულ ბრძოლას...

ეგზილ სოციალისტების კონფერენციაზე დამსწრე საქ.-დემ. პარტიის დელეგაციას ესალმება კონფერენციის თავმჯდომარე—პოლონელ სოციალ. პარტიის მეთაური ზარემბა, რომელიც თავის სიტყვაში ეხება ქართველი ერის ბრძოლას მოსკოვზე დამპყრობელების წინააღმდეგ და ქართველ სოც.-დემ. როლს ამ ბრძოლაში... კონფერენციის მონაწილენი მხურვალე ტაშით ეხმაურებიან ზარემბას სიტყვას.

ქართულ დელეგაციის წევრმა ნიკო იმნაიშვილმა წარმოსთქვა შემდეგი სამადლობელი სიტყვა:

დიდათ პატივცემულო ამხანაგებო!

მოგესალმებით საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის სახელით (საერთო ტაშის ცემა). ჩვენ მთელი არსებით თქვენთან ვართ, მიუხედავად იმისა რომ ჩვენი შემოსვლის ფორმალობა ჯერ შესრულებული არ არის.

თქვენ იცნობთ ჩვენი პარტიის ისტორიას, მის წარსულს. იცნობთ ჩვენს ბრძოლებს ცარიზმის წინააღმდეგ. თქვენ იცით, რომ ჩვენ 1918 წლის 26 მაისს დავაარსეთ პირველი სოციალდემოკრატიული რესპუბლიკა მსოფლიოში (ხანგრძლივი ტაში). ამხანაგებო! ჩვენ ვერავის მიეცემთ ნებას ამ ჩვენს ღირსებაში შემოგვედაოს.

თქვენ იცით, როგორი წარმატებით ვითარდებოდა საქართველოს დამოუკიდებელი სოციალდემოკრატიული რესპუბლიკა და იცით, როგორი აღშფოთება გამოიწვია მთელ მსოფლიოში—და უპირველესად სწორედ სოციალისტურ მსოფლიოში—საქართველოს ვერაგულმა დაპყრობამ საბჭოთა რუსეთის მიერ.

თქვენ გახსოვთ 1924 წლის სახალხო აჯანყება, როცა მოსკოვის საბჭოთა იმპერიალიზმის აგენტებმა რამდენიმე ათასი საუკეთესო ქართველი, მათ შორის ათასობით ჩვენი ამხანაგები, უმოწყალოდ გამოასალმეს წუთისოფელს.

თქვენ კარგად იცით ჩვენი ხალხის შემდგომი წლების ბრძოლები დამოუკიდებლობის და დემოკრატიის აღსადგენად. კარგათ მოგეხსენებათ, რომ ექოვის და ბერიას თარეშის ხანებშიც მრავალი ათასი ჯემმარტი ქართველი პატრიოტი იქნა გაულებელი, მრავალი ათეული ათასი ცივ ქვეყნებში გადასახლებული.

ნუ დაგავიწყდებათ. ძვირფასო ამხანაგებო, რომ გასულ წელსაც პირველი სისხლი თბილისში დაიღვარა. თითქოს სტალინის სიკვდილის წლისთავის აღსანიშნავად გამართულ კომუნისტური ახალგაზდობის დემონსტრაციას შეუერთდა მთელი სტუდენტობა და მშრომელი მასები, რომლებაც გადააქციეს ის გრანდიოზულ სახალხო დემონსტრაციად ეროვნული და დემოკრატიული ლოზუნგებით. თვით უნივერსიტეტის რექტორმა, კომუნისტმა კუპრამემ აღიარა, რომ მოულოდნელად დემონსტრაციაში გამოვიდნენ წინათ არსებული პოლიტიკური პარტიები და წამოაყენეს აკრძალული «ნაციონალური» ლოზუნგებიო.

ძვირფასო ამხანაგებო! რადგანაც მე პატივი მაქვს ვილაპარაკო თქვენს წინაშე ჩემი პარტიის სახელით ამ ადგილას, მე მოვალედ ვრაცხ თავს აღვნიშნო, რომ ვენის სოციალდემოკრატიული ორგანო «არბაიტერ-კაიტუნგი» იყო ევროპის ერთი უპირველესი გაზეთთაგანი, რომელმაც წამსვე განსჯერიტა თბილისის ამბების აზრი და აღნიშნა, რომ ამჟამად ქართველებს სურთ დამოუკიდებლობის აღდგენა და ამ სურვილის სადემონსტრაციოთ ყოველგვარ საბაბს იყენებანო. მანვე შენიშნა რომ აკრძალული პოლიტიკური პარტიებიდან პირ-

ველ ადგილზე იყო სოციალდემოკრატია, რომელსიც დამფუძნებელ კრებაში დიდ უმრავლესობას წარმოადგენდაო.

თბილისის მუშებმა დემონსტრაციულად აღნიშნეს აგრეთვე გასული წლის 26 მაისი, დამოუკიდებლობის დღე. თბილისში პროკლამაციების გაკვრით.

ამხნაგებო! ქართველი ერი დღესაც იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. მისი დიდი უმრავლესობა დღესაც უკუშარიტი დემოკრატიულ-სოციალისტური იდეების ნიადაგზე დგას. მისი მთელი სიმპატია და თანაგრძნობა არის გმირი უნგრელი ერის, პოლონეთის და სხვა ერთა მხარეზე, რომლებიც იბრძვიან საბჭოთა იმპერიალიზმისა და ტირანიის წინააღმდეგ.

და ქართველი მშრომელი ხალხის სახელით ვიმეორებ მე თქვენს წინაშე:

გაუმარჯოს ადამიანის და ერის თავისუფლებას!

გაუმარჯოს დემოკრატიას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

(ხანგრძლივი ტაში მთელ დარბაზში).

ბ. კვინძია.

ქაჩოკა წიგნილიან.

ჩვენო ძვირფასო ძმაო ლადო, მივიღეთ შენი წერილი ტკბილი და ნაზი გრძნობებით აღსავსე. თქვენ ბევრი რამ გაგიგონიათ ჩვენს შესახებ ჩვენი კეთილი პატივცემული ახლობელი ვანოს პირით. გვახარებს და გვასიამოვნებს ჩვენთვის უცნობ რძალთან თქვენი ოჯახური სიამტკბილობით მყუდრო ცხოვრება. ეს ჩვენში იწვევს უსახლგრო კმაყოფილებას, გულწრფელ სიყვარულს და პატივისცემას შენი მეუღლისადმი. ჩვენ მას ვთვლით ჩვენს ღვიძლ დათ და ჩვენი ოჯახის წევრათ...

ყოველი წარსული არის ტკბილი, გულსა წყლულის მაღამოს დამდები. ვიგონებთ რა ჩვენი ოჯახის წარსულ ცხოვრებას, ეს იწვევს ჩვენში გრძნობებს დარდის გამქარვებელ ჩუმი სიამოვნებისას და მასთან გრძნობებს მწარე განცდისას და ნაღვლისას. ყველაფრის თქმა და აწერა ამ პატარა წერილში შეუძლებელია...

ჩვენი დედ-მამანი იყვნენ მორწმუნე ადამიანები, დიდი და მაღალი მორალის და სათნოების მატარებელი და ბავშვებიც ვიზრდებოდით ამ ატმოსფეროში. ჩვენს ოჯახს ყველა პატივისცემდა, ვგრძნობდით თავს ბედნიერათ გატაცებულნი წმინდა და სპეტაკი წყურვილით უკეთესი ცხოვრების შესაქმნელათ. მაგრამ უდროვით მოვლენილმა ჩვენი ოჯახის წევრთა სიკვდილმა აგვიმღრია და დაგვიწყლულა ყველას გული.

ძნელი წარმოსადგენია რა მხიარულობას იგრძნობდენ ჩვენი დედ-მამა, რომ ისინი დღეს მკვდრეთით აღდგნენ და

შეხედონ დღევანდელ ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას; აგრეთვე იტქმის უდროვოთ გარდაცვლილ ჩვენი ძმების და ახლობელთა შესახებ.

«არ არს სიცოცხლე, არ არს სიკვდილი», ამბობს სახარება, რაც აღნიშნავს მწარე სინამდვილეს ბუნებისას: ერთნი იხოცებიან, მეორენი მოდიან მათ შესაცვლელათ. ასეთია საზოგადოთ ადამიანთა ცხოვრება. არც დროს და არც სივრცეს არ აქვს საზღვარი და ადამიანისთვის ამის მიუწოდებლობა ჩვენ გვიკარნახებს შევიგუოთ ყველა ის რაც არის.

ლევ ტოლსტოი თავის ცნობილ «კრუგ ჩტენია» ერთ ადგილას კითხულობს: «როდისაა ადამიანი ბედნიერი?» და თითონვე უპასუხებს: «ბედნიერია როდესაც ის კმაყოფილია იმით, რაც მას აქვს». აქედან გამოყავთ დასკვნა და ჩვენ გვიჩვენებს, რომ ვიყვეთ კმაყოფილი იმით, რაც არსებობს. ჯერ არ არის არავითარი ძალა რომ გამოასწოროს ყოველი მხარე უკუღმართთა და უსამართლოთ აწყობილი ცხოვრების. შევიგნეთ რა ზემოთ ნათქვამი, ჩვენ უნდა შევეგუოთ მოწილილ და გათელილ ჩვენსა ცხოვრებას. რაც შეიქმნა ჩვენი ოჯახის წევრების უდროვოთ გარდაცვალების შედეგათ. მაგრამ ამავე დროს მათ და მომავალი თაობის პატივსაცემლათ ჩვენ უნდა გავყვეთ ჩვენს სანეტარო ცხოვრების ზნის მაჩვენებელ ჩვენს ვარსკვლავს, რადგან შემდეგ ჩვენც წავალთ ამა სოფლიდან. უნდა გავფანტოთ გონებიდან ყოველივე ცუდი და გულიდან ნაღველის კაეშანი, რომელიც მოქმედებს ჩვენს ფსიხიკაზე და ვიფიქროთ მომავლის ყოველივე კეთილის და კარგის შესაძლებლობაზე.

ძვირფასო ძმაო ლადო, ჩვენი ღრმა სურვილია, რომ ჩვენ და თქვენ მალე ერთმანეთს შევხვდეთ. გვაქვს ამის მტკიცე და ურყევი იმედი, რომ ეს აუცილებლათ იქნება.

მე ცოტა ავადმყოფობ, მალე გავჯანსაღდები. მე არ მაქვს წარმოდგენილი, რომ რაიმე ხელისშემშლელი მიზეზი გადაეღობოს ჩვენს სურვილებს. ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს, უნდა მხოლოდ გამძლეობა და მტკიცე რწმენა ბედნიერი ცხოვრებისაკენ ჩვენი ბედის ჩარხის ტრიალის.

ჩვენი და მაკრინე ცალკე მოგწერს წერილს.

ქალაქი სოხუმი.

შენი ძმა გრგეთეოვი.

ს ო შ ო.

ა. წ. 11 მაისს სოშოს ს. დემ. ორგანიზაციის კრებაზე ამხ. პ. სარჯველაძემ და გ. ჟორდანიამ გააკეთეს მოხსენება პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობის შესახებ.

სოშოს სათვისტომოს გამგეობის თხოვნით ა. წ. 12 მაისს სათვისტომოს წევრთა საერთო კრებაზე პ. სარჯველაძემ წაიკითხა მოხსენება: «საერთაშორისო მდგომარეობა და ეროვნული ბრძოლის საკითხები». გაიმართა კამათი. დასასრულს საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს.



დათიკო ხელაძის გარდაცვალება.

20 აგვისტოს დათიკო და მისი მეუღლე წავიდნენ შვეიცარიაში დასასვენებლათ. დაბინავდნენ ქენევაში სასტუმროში. დღისით გაისეირნეს ქალაქში და საღამოთი დაბრუნდნენ. ვახშმის შემდეგ, როცა დათიკო ემზადებოდა დასაძინებლათ, უცბათ გული წაუვიდა და დაეცა იატაკზე. მაშინვე წაიყვანეს საავადმყოფოში. ექიმებმა მიიღეს ყოველგვარი ზომები მის მოსაბრუნებლათ, მაგრამ ვერაფერი უშველეს. მთელი ღამე ენა ჩაეარდნილი ებრძოდა სიკვდილს და დილის 5 საათზე განუტევა სული. 3 სექტემბერს დამწუხრებულ მეუღლის და რამდენიმე ნაცნობ-მეგობრების დასწრებით დაასაფლავეს წმინდა გიორგის სასაფლაოზე. შვეიცარიაში მყოფ ქართველობის სახელით ხარიტონ შავიშვილმა დაადო მის საფლავს ყვავილების გვირგვინი.

პარიზის ამხანაგები, მეგობრები და მისი პატივისმცემელი მოკლებული იყვნენ საშუალებას მიეღოთ მონაწილეობა მის დამარხვაში. «ჩვენი დროშა»-ს რედაქცია იზიარებს დათიკოს ობლათ დარჩენილ მეუღლის მწუხარებას და უცხადებს მას თანაგრძნობას.

დათიკოს სახით ქართველმა ხალხმა დაკარგა ერთი საუკეთესო გულწრფელი მებრძოლი პატრიოტი, მისმა პარტიამ უანგარო სახალხო უფლებსათვის თავდადებული ამხანაგი. თავის სიცოცხლეში ბევრი რამ გააკეთა, როგორც სამშობლოში, ისე დევნილობაში. მან დასტოვა ნაშრომი და ნაამბავარი, რაც მის სსოვნას დაუვიწყარს ზღის ქართულ საზოგადოებისათვის.

დათიკოს სრული ნეკროლოგი დაიბეჭდება მორიგ ნომერში.

26 მაისი პარიზში.

26 მაისის ღღის აღსანიშნავად სათვისტომოს გამგეობამ წინა დღით ჩამოიარა სხვადასხვა სასაფლაოზე ქართველ მამულიშვილთა საფლავები და აგრეთვე ლევილის ძმათა სასაფლაო და შეამკო სამფეროვან დროშით და ყვავილებით. იმავე დღეს 25-ს ყველა მათ სულის მოსახსენებლათ საქართველოს პრეზიდენტის ნ. ჟორდანიას საფლავზე მამა ილიამ გადაიხადა პანაშვიდი მრავალ-რიცხოვან საზოგადოების თანდასწრებით. გუნდმა იგალობა «დიდება».

26 მაისის ეკლესიაში, რომელიც მორთული იყო სამფეროვანი დროშებით, გადახდილ იქნა პარაკლისი. გუნდთან ერთად მთელმა დამსწრე საზოგადოებამ იგალობა «დიდება».

3 საათიდან პარიზის მე-14 უბნის სამმართველოში დიდალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი სამფეროვან დროშით მორთულ დიდ დარბაზში, რომელსაც დაესწრო მრავალი სტუმრები, როგორც ფრანგები, ისე სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

ფარდის ახდისას გუნდის მიერ შესრულებულ იქნა ნაციონალური ჰიმნი, რის შემდეგ სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ე. პატარიძემ წარმოსთქვა შინაარსიანი სიტყვა 26 მაისის მნიშვნელობის შესახებ—ქართულ და ფრანგულ ენაზე. ქართულ საზოგადოებას მიულოცეს ეს დღე სიტყვებით პოლონელების წარმომადგენელმა ბ. ნ. პარშევსკიმ, უნგრელების წარმომადგენელმა მაროშმა და გალმა, რუმინელთა ნაც—ლურ კომიტეტის სახელით პროფ. ვენიამინმა, ჟურნ. «ნაციონ-რუმენ»-ის რედაქტორმა რ. ბოილამ, სომხების წარმომადგენელმა ბ. ტადავარიანმა. მოკლე და მოხდენილ სიტყვაში ქართული მხედართა წარმომადგენელმა ლეიტ. კოლონელმა ბ. კ. თოხაძემ გადაუხადა ყველა სტუმრებს მადლობა.

მეორე ნაწილი დღესასწაულისა მდიდარი იყო თავის არტისტული პროგრამით.

X.

26 მაისი სოფოში.

ათეული წლების მანძილზე, ჩვენ რომ უცხოეთში ვიმყოფებით,—პირველად არის, რომ 26 მაისი კვირა დღეს შეხვდა. თითქმის განგებამაც გაიზიარა ჩვენი ზეიმი. ამ კვირას მზის სხივებმაც უხვათ მოგვფინა სინათლე და სითბო.

სოფოს ქართულ სათვისტომოს დარბაზის მორთვაზე წინასწარ გაწეულ იყო ზრუნვა, აგრეთვე სამზარეულოში, რომ ქართული საერთო სადილი დამზადებულიყო. მოპატიებულნი იყვნენ სოფოს ქალაქის თვითმმართველობა და აგრეთვე პოლონელების წარმომადგენლები. დილის 10 საათზე მოვიდნენ თვითმმართველობიდან დელეგაცია და პოლონელების კომიტეტის თავმჯდომარე. ბ. ილ. სალუქვაძის ქალიშვილი მალხაზი ვარდო უკვე აბნევდა დამსწრეთ ქართულ სამფეროვან დროშას, ქართველები კი ურთიერთს კაცნით და ძმური საღამით ულოცავდნენ ამ დღეს. საზეიმო სხდომა გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ალ. შათირიშვილმა, მოკლეთ, მაგრამ მგრძობიარე სიტყვით მიესალმა დამსწრეთ. აუხსნა მათ 26 მაისის მნიშვნელობა, უსურვა საფრანგეთს წარმატება და ქართველებს განთავისუფლება. სიტყვა მიეცა ქალბატონ შათირიშვილს, რომლის სიტყვამ მთელი დარბაზი მოხიბლა. მან დაახასიათა საქართველოს პოლიტიკური და რელიგიური სახე. მისი არსებობის მძიმე პირობები წარსულში და დღეს, მისი ბუნებრივი სიმდიდრე. საუკეთესოთ დაახასიათა ქართველთა განსაკუთრებული ხასიათი და ორიგინალობა. ქალბატონი შათირიშვილი დაჯილდოებულ იქნა მსურვალე ტაშით. ბ. ალ. შათირიშვილმა მოიგონა საფრანგეთის დიდი სოციალისტის და დიდი პატრიოტის შეხედულება ეროვნულ შემეცნებაზე, რამაც აღტაცებაში მოიყვანა ფრანგი სოციალისტები. ილაპარაკეს აგრეთვე ბ. ბ. ილ. სალუქვაძემ და ვალოდ. დოლიძემ ფრანგულად და კიტა რიჟამაძემ ქართულად. ქ. სოფოს თვითმმართველობის წარმომადგენელი მსურვალეთ მიესალმა ქართველობას, უსურვა მათ განთავისუფლება და მადლობა გადაუხადა სათვისტომოს გამგეობას მოპატიებებისთვის. ილაპარაკა პოლონელთა წარმომადგენელმა, დაახასიათა ჩვენი და მათი ბრძოლის ერთიდაიგივეობა. გამოსთქვა სრული რწმენა, რომ ეს ბრძოლა სრული გამარჯვებით გათავდება. მან მოიხსენია გენ. ზაქარიაძე, რომელთანაც მას მოსწყვიდა თანამშრომლობა. ბ-ნ ზაქარიაძეს ხსოვნას კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა. კრებამ მოისმინა პარიზის ქართულ სათვისტომოს თავმჯდომარის ბ. ელ. პატარიძის მოლოცვა. შემდეგ სტუმრები მიპატიებულ იყვნენ სუფრაზე. დიასახლისობდა ქ-ნი შათირიშვილი. მხიარულება გაგრძელდა დიდხანს,—რომელსაც ხელმძღვანელობას უწყევდა ბ. ვალოდია სალუქვაძე.

დამხსრვ.

მ ი უ ნ ხ ე ნ ი.

როგორც ყოველთვის, ისე წელსაც ადგილობრივი ქართველობა 26 მაისს შეიკრიბა ამ ისტორიული დღის აღსანიშნავად.

ბ. რაქდენ არსენიძემ, როგორც პირად მონაწილემ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მოსამზადებელ კომისიის მუშაობაში, უამბო საზოგადოებას ამ აქტის წინამორბედ ეტაპებზე და მის ისტორიულ მნიშვნელობაზე.

შემდეგ ილაპარაკეს ბ.ბ. დ. ვაჩნაძემ და პროფ. მიხ. ახმეტელმა. ეს უკანასკნელი თავის სიტყვაში განსაკუთრებით შეეხო სოციალდემოკრატიულ პარტიის როლს საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ერთ მტკიცე და მთლიან პოლიტიკურ ორგანიზმთ ჩამოყალიბებაში, რამაც, მისი აზრით, დიდათ ხელი შეუწყო საქართველოს სუვერენობის კვლავ აღდგენას.

დასასრულ მოსმენილ იქნა რადიოსადგურის «განთავისუფლება»-ს გადაცემები დამოუკიდებლობის აქტის შესახებ. ბავარიის რადიოსადგურმაც აცნობა თავის მსმენელებს თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა 26 მაისის აქტს საქართველოსთვის.

29 აგვისტოს ბავარიის რადიოსადგურმა თავის გადაცემებში აღნიშნა საქართველოს აღსაყდების 33 წლის თავი.

მიუნხენში არსებულ საბჭოთა კავშირში შემავალ ეროვნებათა კულტურის და ისტორიის კვლევამდებობის ინსტიტუტის საბჭოს წევრად არჩეულ იქნა ბ. გ. შარაშიძე.

ა. წ. აგვისტოს პირველ რიცხვებში მიუნხენში შესდგა «საბჭოთა კავშირში შემავალ ეროვნებათა განთავისუფლების ლიგა»-ს (პარიზის ბლოკი) წლიური კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულნი ეკსილში მყოფი მთავრობების და ემიგრაციის ნაციონალური ცენტრების რწმუნებულნი. კონფერენციაზე მონაწილეობას ღებულობდენ სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, უკრაინის, ტურქმენეთის, ჩრდილო-კავკასიის, ყირიმელ თათრების, იდელურალის, კანაკიის და საქართველოს წარმომადგენელნი.

ქართველების მხრივ კონფერენციას ესწრებოდენ ნოე ცინცაძე, რაქდენ არსენიძე და სანდრო კორძაია.

კონფერენციამ, მოისმინა რა მოხსენება ლიგის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტის მუშაობის შესახებ, გამოუცხადა პრეზიდენტის წევრებს მადლობა და მათი მანდატი კვლავ გაგრძელებული იქნა ერთი წლით...

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობაზე, საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე, უნგრეთის ამბებზე და მოსკოვის მიერ დაპყრობილ ქვეყნების განმათავისუფლებელ მოძრაობაზე. ყველა ორატორები საბუთებზე დაყრდნობით ამტკიცებდენ თუ რა

საშინელი ზიანი მოაქვს მოსკოვის იმპერიალისტურ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის ძალად მომწყვდევლ არარუს ერებისათვის; განსაკუთრებული ყურადღება კი ექცეოდა ხალხების გადასახლებას ყაზახისტანში, რომელიც ღებულობს ორნაირ გენოციდის ხასიათს. ერთი ის რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ძალათ გადასახლებული ახალგაზდობა ყაზახისტანში, მათთვის შეუჩვეველ კლიმატიურ პირობებს ვერ უძლებს და მრავალი მათთაგანი იხოცება და მეორე ის რომ აუარებელი უცხო ელემენტის ჩამოსახლების გამო, ადგილობრივი მოსახლეობა თითქმის კარგავს ყოველგვარ უფლებებს თავის სამშობლო მხარეზე და იდევნება...

კონფერენცია ადგენს, რომ ამ საშინელ მოსკოვის პოლიტიკის გამო მიემართოს გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციას და ეთხოვოს ზომების მიღება, რომ ეს ხალხთა განმანადგურებელი პოლიტიკა აღკვეთილ იქნას...

კონფერენცია აგრეთვე სასტიკად გმობს მოსკოვის ინტერვენციას უნგრეთის ამბებში—მოითხოვს საბჭოთა ჯარების გაყვანას უნგრეთიდან და თვით უნგრელ ხალხს კი უცხადებს თავის თანაგრძობას და სოლიდარობას.

რეზოლიუციების შედგენა, როგორც საერთო პოლიტიკურ საკითხებზე, ისე უნგრეთის ამბებზე დაევალა ამის გამო სპეციალურად არჩეულ კომისიას. კომისიის სახელით ნოე ცინცაქემ წარუდგინა კონფერენციას რეზოლიუციების პროექტები, რომელნიც უმნიშვნელო შესწორებით ერთმანდ მიღებული იქმნა კონფერენციის მიერ.

ლიგაში შემავალი სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენელი კიდევ ერთხელ აცხადებენ საჯაროთ, რომ მათ უახლოებლეს მიხანს შეადგენს მოსკოვის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა და მათი ქვეყნების ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა.

7 სექტემბერს მიუნხენში გაიმართა დემონსტრაცია და მიტინგი უნგრეთის საკითხის გამო. დემონსტრაციას წინ მიუძღოდა პანაშვიდი ბრძოლებში დახოცილ უნგრელ პატრიოტთა მოსაგონებლად. დემონსტრაცია, რომელშიდაც გერმანულ ლტოლვილებთან ერთად თავის ეროვნულ დროშებით მონაწილეობას ღებულობდენ დიდი უმრავლესობა აქ არსებულ ემიგრანტულ ორგანიზაციებისა, მართლაც საუცხოვეთ ჩატარდა... მიტინგზე პირველად ილაპარაკა ბონის პარლამენტის დეპუტატმა ბარონ მანტოიფელმა და შემდეგ კი ყველა ეროვნებათა წარმომადგენლებმა. კავკასიელების სახელით ილაპარაკა სანდრო კორძაიამ. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც გადაეგზავნა გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ნიუიორკში. რეზოლიუციაში მოთხოვნილი იყო: დაუყოვნებლივ საბჭოთა ჯარების გაყვანა უნგრეთიდან, მინისტრ-პრეზიდენტის ნადის მისი თანამშრო-

მლებით განთავისუფლება, კადარის მთავრობის გადაყენება, ტერორის შეჩერება და უნგრეთის სუვერენობის აღდგენა; ამასთანავე იყო გამოთქმული იმედი, რომ თავისუფალი სამყარო აგრეთვე ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს მოსკოვის ტირანების მიერ დაპყრობილ სხვა ქვეყნებსაც. იმ დღეებზე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ იქნა გადაგზავნილი დეპეშები გაერთიანებულ ერებთა ორგანიზაციაში წარმოდგენილ ყველა სახელმწიფოთა დელეგატების სახელზე. გაიგზავნა დაახლოებით 200 დეპეშა. დეპეშებშიდაც იგივე მოთხოვნილებები იყო აღნიშნული, რაც მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში... დეპეშები გადაიგზავნა აგრეთვე ქართული ეროვნული საბჭოს, ქართველი სოციალდემოკრატების, პარიზის ბლუკის და კავკასიის კომიტეტის სახელითაც.

ამ საპროტესტო აქციაში მონაწილეობას ღებულობდნენ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული ემიგრანტებიც. ამ გარემოებას უცხო პრესამ და სხვადასხვა რადიოსადგურებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს.

«ვისრამიანი» გერმანულ ენაზე.

კიტა ჩხენკელის გერმანულ ენაზე ნათარგმა «ვისრამიანმა» დიდი გამოხმაურობა პოვა უცხოელთა ლიტერატურულ წრეებში და ბევრმა სერიოზულმა ჟურნალ-გაზეთებმა ის ჩასთვალეს დიდ ლიტერატურულ განძათ და თბილი და შინაარსიანი წერილები უძღვნეს მას. აქვე მოგვყავს ერთი ამ გვარი წერილი ერის ბროკ-ის, რომელიც მოთავსებული იყო 9 აპრილის «ნოიე ციურხერცაიტუნგ»-ში შემდეგი სათაურით:

«ხიყვარულის რქმანი კავკასიიდან.

შვეიცარიულმა გამომცემლობამ «მანესე ბიბლიოთეკა»-მ გამოსცა ქართული რომანის «ვისრამიანის» თარგმანი, რომელიც დაწერილია საშუალო საუკუნეებში და ევროპიელი მკითხველისთვის დიდ აღმოჩენას წარმოადგენს. ეს არის სიყვარულის ამბავი, რომელიც თავის თემატურ განვითარებაში ძლიერ მოგვაგონებს ტრისტანის შინაარსს, არის ეს იმ მიზეზით რომ მისი სიუჟეტი ერთი ქვეყნიდან მეორეში გადავიდა და მთელ მსოფლიოში გავრცელდა თუ იმ მიზეზით, რომ მასში გადმოცემული გრძნობები ღრმა ადამიანური ხასიათისაა და სხვადასხვა ქვეყანაში საერთო ხასიათის სიტუაციაში გამოიხატება. უცნობი მწერალი სარგებლობდა სპარსული რომანით, რომელიც მან ძლიერ განავითარა. მართლაც სპარსული ლირიკისა და ეპოსიდან ჩვენ არაფერი გვაგონდება, რაც ამ ქართული რომანის ფრთავაშლილ გაქანებას და სხივოსან სიმდიდრეს შეედრება. ზოგიერთი სტერეოტიპიური სურათები გადმოაქვს რომანს სპარსულიდან. მაგალითად გადმომჩქეფარე სისხლი, როგორც მწუხარების სიმბოლო, ან

მთვარე, როგორც ქალური სილამაზის სიმბოლო. სხვა მხრივ კი სწორედ უაღრეს მდიდრად დასურათებული ენა სრულიად არასტერეოტიპური და მომხიბლავი უშუალოდების ნიმუშია.

მეორე მხრით საუცხოვოდ არის გადმოცემული აგრეთვე შეყვარებულთა ქანაობა სიძულვილსა და სიყვარულს შუა საბოლოო შეკავშირების წინა ხანებში; საუცხოვოდ, როგორც ფსიქოლოგიური ისე არქიტექტონური თვალსაზრისით. ერთერთ უძვირფასეს მარგალიტს წარმოადგენს დატოვებული გმირი ქალის წერილები მოლაღატე საყვარლის მიმართ. ეს წერილები მოგვაგონებს მარიანა ალკაფორადოს წერილებს. არის კიდევ ერთი მომენტი რომანში, რომელიც დასავლეთის ახალი ხანისაკენ მიგვითითებს: მისი გმირები დგანან ერთი მხრით ყოფნა-არყოფნის შორის მდებარე სიცოხლის წყურვილის უმძაფრეს დაძაბულობაში და მეორე მხრით მუდამ ცდილობენ აბოზოქრებულ გრძნობათა წინააღმდეგ დასაყრდენი კპოვონ ტრადიციულ თუ შთამომავლობით ნორმატივურ ან საერთო ხასიათის მორალურ ელემენტში, რაიცა გამოიხატება ღვთისადმი განუწყვეტლივ მიმართვაში.

მიუხედავად იმისა, რომ რომანში გადმოცემულ ეპოქაში საქართველო ქრისტიანული ქვეყანა იყო, ეს რელიგიური მოტივი არსად სპეციფიური ქრისტიანული ხასიათის არ არის. აქ იქ მოხსენებულია სპარსული ცეცხლის თაყვანისცემა, და საკრთოდე კი საქმე გვაქვს იმ უნივერსალურ თეიზმთან, რომელიც თავის შემდგომ განვითარებაში ყველა რელიგიამ მიიღო და რომელიც ბოლო ხანებში ზარატუსტრას რელიგიასაც ახასიათებდა.

რომანი თარგმნილია რუთ ნოიკომის და კიტა ჩხენკელის მიერ. რუთ ნოიკომის მიერ არის დახატული მშვენიერი ყდაც ძველი ქართული მოტივების მიხედვით. კარგი გერმანულად შესრულებული თარგმანი იკითხება მსუბუქად და პოეტურად. ეს იძლევა საბუთს ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს ზუსტ თარგმანთან, რისი შემოწმება იშვიათად თუ ვინმეს შეუძლია. სამწუხაროდ ქართული ენის მცოდნეთა რიცხვი ჩვენში მეტად მცირეა და სახელმძღვანელოც მეტად ცოტა გავაჩნია.

დეე ამ პატარა წიგნაკმა გარდა გერმანულის მცოდნე მკითხველის სულიერი გამდიდრებისა, განამტკიცოს ქართველთა თვითშემეცნება და იმედი მათ თავდაცვით ბრძოლაში რუს დამპყრობელთა წინააღმდეგ. ქართველები ეკუთვნიან იმ ძველ კულტურულ ერთა რიცხვს, რომელთა მძლავრ-შემოქმედებით სულიერ შემკვიდრებას აღმოსავლეთის თუ დასავლეთის დიდი სახელმწიფოები ავიწროებენ ან მთლად ანადგურებენ, მათი პოლიტიკური თავისუფლების თუ ენათა მრავალფეროვანი თავისებურობის მოსპობის მიზნით.

ეს პატარა წიგნაკი უნდა ჩაირიცხოს დასავლეთის საშუალო საუკუნეების ეპოსის უმშვენიერეს თხზულებათა შორის.»

კარლ ჩხეიძის პანაშვიდი.

ამაწლის 16 ივნისს, კარლ ჩხეიძის საფლავზე გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი. სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. იოსებ ცინცაძემ და მირიან მელუამ.

გენ. ზაქარიაძის დასაფლავება.

ამაწლის 18 მაისს, ლევილის ძმთა სასაფლაოზე მრავალ რიცხოვან ქართულ საზოგადოების თანადანსწრებით დასაფლავებულ იქნა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ჯარების გენერალურ შტაბის უფროსი გენერალი ზაქარიაძე.

გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს ყოფილ მხედართა კავშირის სახელით ბ-ნ ბაქრაძემ, ქართულ ეროვნულ საბჭოს აღმ. კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ცინცაძემ, ქართულ სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ე. პატარიძემ და საქ. ს.-დ. პარტიის სახლვ. ბიუროს სახელით პ. სარჯველაძემ.

პ ა რ ო ზ ი.

ა.წ. 14 აპრილს პარიზის სოც.-დემოკრატიკ. ორგანიზაციის კომიტეტის თაოსნობით მოწვეულ ქართულ საზოგადოების წინაშე პ. სარჯველაძემ გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: «საერთაშორისო მდგომარეობა და ეროვნული ბრძოლის საკითხები».

კრებას თავმჯდომარეობდა ექ. იოსებ ცინცაძე.

«ჩვენი ღროზა»-ს ფონდი.

შემომწირველთა სია:

ქ-ნი ქსენია 80 დოლარი; ლ. არველაძე 40 დოლარი; ქ-ნი ცალქალამანიძე 5 დოლარი; ქ-ნი გეგელაშვილი 20 მარკა; კ. ინასარიძე 30 მარ., მისივე ხელით 917 ფრანკი; ნ. იმნაიშვილი 20 მარ.; ვ. ინწკირველი 10 მარ.; ა. კორძია 10 მარ., მისივე ხელით 5.000 ფრანკი.

ფ. შარაძე 3.000 ფრ.; ც—ელი 3.000 ფრ.; ქ-ნი ვაჩნაძე 2.000 ფრ., კ. იმნაძე 1.000 ფრ.; გერ. სურგულაძე 1.000 ფრ.; ნ. ორაგველიძე, გერ. ბოლქვაძე, ალ. ტატიშვილი, შ. ნაკაიძე, ვ. კვაჭანტირაძე, ვ. გაჩეჩილაძე თითომ 500 ფრანკი. ნ. მაჭარაძე ძველათ მიღებული 2.000 ფრანკი.

ლოინიდან: ა. ალანია, შ. ანთაძე, შ. ტულუში, კ. გუნია—თითომ 1.000 ფრანკი.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას და ბოდიშს იხდის, რომ ზოგიერთი შემომწირულებანი თავის დროზე არ იყო გამოცხადებული.